ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 23 სექტემბერი, 2011 | №226 (5606) | ფასი: 30 თეთრი

## რუსი დეპუტატები საქართველოსთან ომის დაწყებას ითხოვენ

გვ.3



# ნიკა გილაურს ვერა ქობალიას გამო სასამართლოში უჩივიან



გვ.2

## ეკა ბესელია: „მოვუწოდებ ოპოზიციას, ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ გავერთიანდეთ!“

გვ.3



## მგზავრობა კიდევ გაძვირდება

გვ.7

## ვინ ვინ არის

გვ.6



## საქართველო კრიმინალური სახელმწიფოა

გონივრული ეჭვის საფუძველზე უკვე 5§ ათასი ახალგაზრდა გაჩხრიკეს



გვ.4

## ვანო მერაბიშვილმა საკადრო წმენდა დაიწყო

გვ.6



## ოცნების სვეტი ბათუმში დღეს გაიხსნება

გვ.2



## ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე უნდა დაბრუნდეს



გვ.7

## კახა კალაძე: სააკაშვილ-ობამას შეხვედრა სახინკლეში შეხვედრას ჰგავდა

გვ.2



## სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადება კონსტიტუციის დარღვევაა

გვ.5

განათლების პროგრამა მატრაკვეცა მშობლების შეხედულებებზე არ უნდა აიგოს



## 3090
## sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** უკრაინის განათლების მინისტრს სახეში ყვავილების თაიგული გაარტყეს

**5** სომხეთს საქართველოს გავლით გაზის მიწოდება დროებით შეუწყდა

**4** პედაგოგის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

**5** მოსკოვი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნიკა გილაურს ვერა ქობალიას გამო სასამართლოში უჩივიან

შალვა ჯოხაძე

**ვერა ქობალიას სამინისტრომ მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურ სიახლეებს ფეხი აუწყო და გასაყიდი ქონების ელექტრონული აუქციონით გასხვისება დაიწყო. თუმცა, ისევე, როგორც ბევრ სიახლეს საქართველოში, ამ ნოვაციასაც ხარვეზები ახლავს თან, თანაც, ისეთი ხარვეზები, რის გამოც ვერა ქობალიას მთავრობაში უჩივლეს და, რადგანაც ნიკა გილაურმა მისი მხარე დაიჭირა, ახლა მას უჩივიან სასამართლოში.**

ელექტრონული აუქციონით ქონების ყიდვა მართლაც საშარო საქმე ყოფილა, რადგან, თუკი გაგიმართლათ და აუქციონში გაიმარჯვეთ, არ არის გამორიცხული, ცოტა ხანში გამოგიცხადონ, რომ არაფერიც არ შეგიძენიათ. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“ აცხადებენ, რომ აუქციონები იმდენად დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს, შეუძლებელია, ამ პროცესისადმი მოსახლეობაში ნდობა არ დაეცეს.

„ასეთი ფაქტები საზოგადოებას ელექტრონული აუქციონების მიმართ ნდობას უკარგავს და ზოგადად ამ ფორმით რაიმე სახის შენაძენის გაკეთების სურვილსაც უქრობს. ასე ნებისმიერი აუქციონის შედეგები შეიძლება გააუქმონ და ტექნიკური ხასიათის პრობლემი მოიმიზეზონ“, — აცხადებს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე თამარ გაბისონია.

ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ასეთი და მსგავსი ხარვეზების გამო ბევრი მოქალაქეა დაზარალებული, თუმცა, მათ შესახებ კონკრეტული მონაცემები ჯერ არ გააჩნიათ. ორგანიზაციაში ამ მონაცემების მოპოვებაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. ამჯერად საკუთარი პრობლემა სააშკარაოზე ერთმა კონკრეტულმა დაზარალებულმა გამოიტანა. ეს არის მრავალშვილიანი დედა თამარ ჩირიკაშვილი, რომელმაც წელს, 25 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში მიიღო მონაწილეობა.

ელექტრონული აუქციონით თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ორბეთში მდებარე მიწის ნაკვეთი იყიდებოდა. აუქციონზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდა, თამარ ჩირიკაშვილმა სასურველი ქონების შეძენა შეძლო. კომპიუტერში, მის გვერდზე დაიწერა, რომ აუქციონი შემდგარი იყო და მან ეს ნაკვეთი შეიძინა. მოგვიანებით მის მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მივიდა მილოცვა: „გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთ აუქციონში“.

რამდენიმე დღეში ჩირიკაშვილმა სამინისტროს მიაკითხა. იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელს მან აუხსნა, რომ ტექნიკური ხასიათის პრობლემა იყო, რამაც აუქციონის შედეგის ბათილობა გამოიწვია.

თამარ გაბისონია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე:

— რადგანაც ელექტრონული აუქციონი ახალი დანერგილია, მას სხვადასხვა სახის ხარვეზები ახლავს, მაგრამ ის პრობლემა, რასაც თამარ ჩირიკაშვილი წააწყდა, უფრო სისტემური ხასიათისაა. ეს მხოლოდ ერთ ადამიანს არ ეხება და, ჩვენი ინფორმაციით, ძალიან ბევრს აწუხებს. თამარ ჩირიკაშვილი ოფიციალურ საიტზე ყველა წესის დაცვით დარეგისტრირდა, მონაწილეობაც ასევე წესების დაცვით მიიღო. საბოლოოდ, მან გაიმარჯვა კიდეც და ასევე ოფიციალური მილოცვა დაიმსახურა.

რამდენიმე დღეში ქალბატონმა თამარმა სამინისტროს მიაკითხა, იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელმა კი აუხსნა, რომ ტექნიკური ხასიათის პრობლემა იყო, რამაც აუქციონის შედეგის ბათილობა გამოიწვია.

ქალბატონი თამარი ტექნიკურ პერსონალსაც გაესაუბრა, გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ მისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია, რამდენად გამართულად მიმდინარეობდა აუქციონი. მას ოფიციალურადვე უპასუხეს, რომ აუქციონი გამართულად მიმდინარეობდა, მხოლოდ მცირე ხარვეზს ჰქონდა ადგილი, თუმცა, ეს ხარვეზი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია, ანუ აუქციონი ბათილად არ უნდა გამოცხადებულიყო.

ამის მიუხედავად, ისე მოხდა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ 20 აპრილს ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც მხოლოდდამხოლოდ ქალბატონი თამარ ჩირიკაშვილის აუქციონის შედეგებს ეხებოდა.

გადავწყვიტეთ, რომ სასამართლოს გარეშე მოგვეგვარებინა პრობლემა, რის გამოც მთავრობის კანცელარიას მივმართეთ, როგორც ეკონომიკის სამინისტროს ზემდგომ ორგანოს. მოვითხოვეთ, საქმე განეხილათ და ობიექტური გადაწყვეტილება მიეღოთ, ვერა ქობალიას მიერ მიღებული დოკუმენტი გაებათილებინათ.

არ შევუშინდები იმის თქმას, რომ მთავრობის სხდომა არაობიექტურად წარიმართა. რასაკვირველია, მთავრობის მხრიდან სამინისტროს წარმომადგენლებისადმი იგრძნობოდა სიმპათია.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სპეციალისტის დაკითხვის თაობაზე დააყენეს შუამდგომლობა. მართალია, ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მთავრობის სხდომაზე სპეციალისტი დაიკითხა, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ არსებულ ხარვეზს საბოლოო შედეგზე არ უნდა ემოქმედა, მაგრამ, ნიკა გილაურმა ამ ინფორმაციას განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა, რომ ეს პატარა ხარვეზი ეკონომიკის სამინისტროს აუქციონის შედეგის გაბათილების საშუალებას აძლევდა.

**თამარ გაბისონია:**

— მიგვაჩნია, რომ არაობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანეს, რადგანაც ეკონომიკის სამინისტროს მიმართ იყვნენ მიკერძოებულები. ახლა უკვე სასამართლოში გავასაჩივრებთ არა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებას, არამედ — მთავრობის გადაწყვეტილებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: როდესაც მომხდარი თავდაპირველად გავასაჩივრეთ, სადავო ქონებაზე ყადაღის დადება ვითხოვეთ, რომ შემდგომში მისი გაყიდვა არ მომხდარიყო. თუმცა, ყადაღა არ დაადეს და ერთი თვის შემდეგ ამ მიწის ნაკვეთზე აუქციონი კვლავ გამოაცხადეს. თუკი თამარ ჩირიკიშვილმა მიწის ნაკვეთი 1200 ლარად შეიძინა, უკვე მეორე აუქციონზე ქონება არარეალურად მაღალ ფასად, 77000 ლარად გაიყიდა. მიწა ტატიანა დანელიამ შეისყიდა.

არასამთავრობო ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტული მიწის ნაკვეთით იყო ვიღაც დაინტერესებული და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომაც ამიტომ შეცვალა ელექტრონული აუქციონის ოფიციალური შედეგი. საინტერესოა, რა შედეგი დადგება საქალაქო სასამართლოში, სადაც ნიკა გილაურის წინააღმდეგ სარჩელს რამდენიმე დღეში შეიტანენ.

## ოცნების სვეტი ბათუმში დღეს გაიხსნება

23 სექტემბერს დილის 12 საათზე ბათუმში იგეგმება ახალი ქანდაკების გახსნა, რომელსაც ოცნების სვეტი ეწოდება. ოცნების სვეტი შესრულებულია ბრინჯაოში, მასზე გამოსახულია ქართულ ლიტვური სიმბოლიკები და დეკორატიული ორნამენტები. სვეტის თავზე ამოკვეთილია ხელის ფორმა, რომელშიც დამთვალიერებელი ჩადებს ხელს და ჩაიფიქრებს სურვილს. სკულპტურული კომპოზიცია ოცნების სვეტი სპეციალურად შეიქმნა ქ. ბათუმის ახალი ბულვარისთვის და მისი ავტორები არიან ქართველი მოქანდაკე ირაკლი წულაძე და ლიტველი მხატვარი მარიუს აბრამავიჩუსი. პროექტი განხორციელდა ლიტვის საელჩოსა და ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით

## კახა ძაგანია: სააკაშვილ-ობამას შეხვედრა სახინკლეში შეხვედრას ჰგავდა

ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახაბერ ძაგანიას განცხადებით, ტელევიზიების მიერ გაპიარებული, სააკაშვილის და ობამას შეხვედრა რეალურად სახინკლეში შემთხვევით შეხვედრას ჰგავდა და არანაირი საქმიანი დატვირთვა მას არ ჰქონდა.

მისი თქმით, ასე ისიც ხშირად შეხვედრია მიხეილ სააკაშვილს სუფრაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი ურთიერთობა აქვს და მასთან პარტნიორობას აპირებს.

— დიდის ამბით რომ გვამცნეს სახელისუფლებო ტელეარხებმა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდაო, რატომ არ დაამატეს, რა შეხვედრა იყო? უბრალოდ ერთ სუფრაზე მოხვდნენ და ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, სხვა არაფერი. ეს იყო ქართულ სახინკლეში შეხვედრის მსგავსი რამ. სააკაშვილი ახლაც გაეროს დერეფნებში დახეტიალობს, შემთხვევით ვინმე წონიან ლიდერს გადააწყდეს, და მასთან ხელჩამორთმეული ფოტო გადაიღოს, რათა მერე საკუთარ ხალხს მოატყუოს, აი, ასეთ პატივს მცემენ მსოფლიო ლიდერებიო, — განაცხადა კახაბერ ძაგანიამ.

**მედიანიუსი**

## უკრაინის განათლების მინისტრს სახეში ყვავილების თაიგული გაარტყეს

კიევის საგანმანათლებლო ფორუმზე უკრაინის განათლების მინისტრს, დიმიტრი ტაბაჩნიკს სახეში ყვავილების თაიგული გაარტყეს. ჩინოვნიკს თაიგული კიევის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა უთავაზა. ინციდენტის შემდეგ გოგონა დაცვის პოლიციამ შენობიდან გაიყვანა.

როგორც სტუდენტმა დარია სტეპანენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ფორმით მან მინისტრის მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკა გააპროტესტა. განათლების მინისტრს ტაბაჩნიკს მისი ოპონენტები უკრაინოფობიაში„ ადანაშაულებენ. მან დასავლეთ და აღმოსავლეთი უკრაინა სხვადასხვა ფორმებით მოიხსენია. ნაწილს ლაქიები, მეორე ნაწილს კი ცივილური ოპონენტები„ უწოდა. ტაბაჩნიკი 2010 წელს დაინიშნა განათლების მინისტრად. დასავლეთ უკრაინსა და კიევში მისი გადადგომის მოთხოვნით აქციებიც გაიმართა, თუმცა მან თანამდებობა შეინარჩუნა. ტაბაჩნიკის გადადგომას საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია ფრიდომ ჰაუსიც„ ითხოვდა. ორგანიზაციის განცხადებით, ტაბაჩნიკი უკრაინის გაყოფისკენ მიმართულ საშიშ განცხადებებს აკეთებს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველო პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარებას მხარს არ დაუჭერს

ისრაელის საინფრომაციო პორტალ „იზრუსის“ შეფასებით, საქართველო პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარებას მხარს არ დაუჭერს. პორტალი აქვეყნებს ანალიტიკურ პუბლიკაციას პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით არსებულ განწყობებზე.

„იზრუსის“ ცნობით, პოსტსაბჭოთა ორი სახელმწიფო — რუსეთი და აზერბაიჯანი პალესტინის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გატანის შემთხვევაში, მხარს აუცილებლად პალესტინას დაუჭერენ.

პუბლიკაციის მიხედვით ყოფილი საბჭოთა კავშირის ოთხი მუსლიმანური ქვეყანა, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და ტაჯიკეთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე თავის პოზიციას ჯერჯერობით არ აფიქსირებენ, პალესტინის დამოუკიდებლობას ხმას მაინც მისცემენ. რაც შეეხება უკრაინას, საქართველოს, ესტონეთსა და ლატვიას, „იზრუსი“ წერს, რომ ეს ქვეყნები პალესტინის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ.

პორტალის უჭირს პროგნოზირება, თუ რას გადაწყვეტენ ბელარუსი, მოლდოვა და სომხეთი, რადგან მათ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

შეგახსენებთ, რომ პალესტინა გაეროსაგან დამოუკიდებლობის ცნობას და ორგანიზაციაში გაწევრიანებას მოითხოვს. ამ საკითხს აშშ და ისრაელი ეწინააღმდეგებიან. ექსპერტების პროგნოზით, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდება, გამორიცხული არ არის, რომ აშშ-მ პალესტინის ინიციატივას ვეტო დაადოს.

**მედიანიუსი**

# ეკა ბესელია: „მოვუწოდებ ოპოზიციას, ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ გავერთიანდეთ!“

შორენა კოწოწაშვილი

**უნდა გაეფრთხილებინა თუ არა ეროვნულ ფორუმს [illegible] საკუთარი ინიციატივის თაობაზე [illegible] დროს თუ არა ოპოზიციური ძალების მხრიდან მართებული ქართველთა მარშზე არმისვლა, ამ საკითხებს ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკა ბესელიასთან.**

*— ქალბატონო ეკა, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ფონს, რამდენად არის გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში ეროვნული ფორუმის ინიციატივა ახალი ეროვნული მოძრაობის გაშლის თაობაზე?*

— თავისთავად ეროვნული ნიშის დაკავების აუცილებლობა და სურვილი, მე ვფიქრობ, რომ არის ადეკვატური და აუცილებელი; ძალიან ზუსტად ნაგრძნობი აუცილებლობა, რომლის გამოც ეროვნულმა ფორუმმა დაიწყო პარტიული აქტიურობის დაგეგმვა. ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ ეროვნული ნიშა დღეს არის თავისუფალი პოლიტიკურ სივრცეში. ამ ნიშას პრაქტიკულად არავინ არ იკავებს დღეის მდგომარეობით. ეროვნული ფორუმი ატარებს ამ განწყობას და შესაბამისად მათი მცდელობა, რომ გააცოცხლოს თავიანთი პარტიული აქტივობა, ეს კარგად მესმის. ჩემი აზრით, კარგია, როდესაც ასეთი ტიპის ღონისძიებები შეთანხმებულია. ყველას მინდა მოვუწოდო არსებულ ოპოზიციურ სპექტრში — ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ — იქნებ ამ ფორმულაზე შევთანხმდეთ და გამოვაცხადოთ მორატორიუმი ოპოზიციის შიგნით რაიმე ტიპის დაპირისპირებაზე, დებატებზე, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმი არ შეიცვლება. ეს რეჟიმი თუ არ შეიცვალა ქართველები საქართველოში შეიძლება უმცირესობაში დავრჩეთ.

*— ამას იმიტომ ამბობთ, რომ საქართველოს უამრავი ადამიანი ტოვებს?*

—გაოგნებული ვარ, იმდენი ადამიანი ტოვებს საქართველოს. თუკი ვინმეს ვიცნობ, ვისაც ჰქონდა მინიმალური საშუალება ქვეყნის დატოვების, მათ შორის აქტიურ ახალგაზრდებს ოპოზიციიდან, ყველა ქვეყნიდან გავიდა. ეს ადამიანები ითხოვენ პოლიტიკურ თავშესაფარს. ძალიან ბევრი მოდის და კონსულტაციებს ილებენ, როგორ მიიღონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური თავშესაფარი. ცოტა ხანში ძალიან ბევრ ცნობილ ქართველ სახეს გაიგებთ, რომელიც პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ახალგაზრდობის ასეთი სწრაფი გადინება ნიშნავს იმას, რომ ვინც ქვეყანაში დარჩება, ის იქნება რეალურად დაუძლურებული, აბსოლუტურად უუნარო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგობას ველარ გაუწევს ამ რეჟიმს.

*— ანუ რეალურად დასაწყებია ეროვნული მოძრაობის მეორე ტალღა, რაზეც ეროვნული ფორუმი მიანიშნებს და მიუთითებს, რომ ეს უნდა იყოს სერიოზული პოლიტიკური პროცესი ხელისუფლების გასაშვებად?*

— მოდერნიზებული, ანუ თანამედროვე ქართული იდეით გაჯერებული ეროვნული მოძრაობის ტალღა, რომლის ამოცანაა სამშობლოს გადარჩენა, აუცილებელია. პატრიარქმა თქვა, „მამული, ენა, სარწმუნეობის“ თანამედროვე პერიფრაზი: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“, ანუ რწმენაში განმტკიცება, მეორე — სამშობლოს გადარჩენა, რაც გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და იმ საფრთხეების თავიდან აცილებას, რომელიც რეგიონებს ემუქრება. და მესამე, ადამიანის — როგორც ღირებულების წაშლას, რაც სახეზეა. შემთხვევითი არ არის, რომ სააკაშვილმა ფაქტობრივად ყველას გადაუკეტა საარსებო საშუალება, ვინც მისი მომხრე არ არის. ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ფულის შოვნასთან ასოცირდება, აკუმულირებულია მხოლოდ სააკაშვილის გარემოცვის ხელში. დღეს ყველაზე მეტად პური იყიდება, ანუ პურზე და წყალზე გადავიდა ნახევარი საქართველო. რეალურად ხალხი მშიერია, პრეზიდენტი კი 10 ლარით მომატებული პენსიით გახარებულ ცალკეულ პენსიონერებს გვაჩვენებს.

*— ქართველთა მარში შეიძლება იყოს მძლავრი ეროვნული პოლიტიკური პროცესის დასაწყისის საწინდარი?*

— ვნახოთ, როგორ დაიგეგმება. [illegible] მხარს. იმედი მაქვს, ეს იქნება კარგად და სწორად დაგეგმილი აქცია იმიტომ, რომ [illegible] კარგი და არ შეიძლება ამ იდეას ებრძოლო. არ მომწონს პოზა, როცა ინიციატივას აცხადებს კონკურენტი პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსი ამბობს, რომ ასეთ აქციაზე არ მივა. მე პირადად ნებისმიერ ასეთ ღონისძიებაში მივიღებ მონაწილეობას, ვინც არ უნდა გამოაცხადოს, რომელი ღონისძიებაც შეეხება ეროვნულობას, ხალხის ინტერესებს. ვინ არის ინიციატორი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან კონკურენტს ოპოზიციაში ვერ ვხედავ.

*— ამ შემოდგომაზე პოლიტიკური პროცესის დაწყების თარიღი დასახელებულია. არ ფიქრობთ, ოპოზიციამ უფრო სერიოზულად უნდა შეაფასოს პოლიტიკური პროცესი და გარკვეულ გამაერთიანებელ სვლაზე იფიქროს?*

— ერთ რამეს გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა უკვე, ზოგი ღიად და ზოგი ფარულად ემზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის და ყველაფრის გადაწყობა ხდება სწორედ ამ პოლიტიკურ კალენდარში, იმის მიუხედავად, არჩევნები შემოდგომაზე იქნება თუ გაზაფხულზე, რეალობა არის ისეთი, რომ პოლიტიკური ველი არის მორღვეული. არსებული პოლიტიკური სუბიექტები ნაადრევად დაბერდნენ. მე ყველას პატივს ვცემ, ვინც არის ოპოზიციაში, მაგრამ რეალობა უნდა დავინახოთ. პოლიტიკურ შემადგენელს ყოველთვის სჭირდება სისხლის გადასხმა. ამიტომ მე დაბერებაში ასაკს არ ვგულისხმობ. ფაქტია, პოლიტიკური შემადგენლობა მოითხოვს გადახალისებას და ახალი ძალების შესვლას. ალბათ ამ შემოდგომაზეც ვნახავთ სიახლეებს. ვიცი, რომ იგეგმება ახალი პარტიის შექმნა ოქტომბერში. გულუას აქვს ამის თაობაზე განცხადებები. შეძლება ხელისუფლებამ თვითონ დაიწყოს თავისი პროექტების შექმნა სხვადასხვა ჯგუფების გამოჩენით. მე პირადად ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკური ველი უნდა გადახალისდეს, ახალი ენერგია და სიცოცხლე უნდა შევიდეს. მე მგონია და ძალიან აქტიურად ვარ ამ იდეით დაკავებული, რომ უნდა შეიქმნას პროფესიონალი ადამიანების გუნდი, მათ შორის ძალიან პატიოსანი, პატრიოტი, წესიერი, კვალიფიციური ადამიანების ერთობა, რომელიც დაიწყებს არა მხოლოდ იმაზე ლაპარაკს, რომ სააკაშვილი ცუდია და უნდა წავიდეს, არამედ დადებს ალტერნატიულ კონცეფციებს, ხედვას, შექმნის პროექტებს — ანუ დადებს მომავლის ხედვას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. ანუ ეს ჯგუფი მოამზადებს ქვეყანაში სისტემის შექმნის პროექტს.

*— ანუ ხელისუფლების ალტერნატივა უნდა გამოიკვეთოს ამ შემოდგომაზე?*

— რა თქმა უნდა. ამისთვის პირველ რიგში, უნდა იყოს სწორი იდეა და უნდა შეიქმნას დოქტრინა, რომელიც იქნება მისაღები ყველა იმ ჯანსაღი ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაში მოვა. ქვეყანა უნდა განვითარდეს ყველა მიმართულებით. მე ვფიქრობ, ამ ზეამოცანის წინაშე ვდგავართ ჩვენ. პარტია, რომელიც ფიქრობს, პარლამენტში ვინ რამდენი მანდატით შევა, ჩემთვის ასეთი ძალა პარტნიორი არ არის. ჩემთვის საინტერესოა ყველა ის ადამიანი, ვისაც უნდა, სააკაშვილის რეჟიმთან ერთად ეს სისტემა შეიცვალოს და სამართლებრივი სახელმწიფო შეიქმნას. მე პირადად ამ კუთხით ძალიან ბევრ კვალიფიციურ და ნიჭიერ ადამიანთან ერთად გავდივარ კონსულტაციებს იმისთვის, რომ ჩვენ ვაჩვენოთ საზოგადოებას ალტერნატიული გზა, ხედვა, ანუ რა შეიძლება იყოს ის ძალა, რომელსაც საზოგადოება დაეყრდნობა. და რაც მთავარია, როგორც კი ეს დოკუმენტები დაიდება, ჩვენ საზოგადოება უნდა ვაქციოთ ამ პროცესის მთავარ მონაწილედ.

# რუსი დეპუტატები საქართველოსთან ომის დაწყებას ითხოვენ

თეა მარხვაი ე

**რუსეთის დუმა კვლავ ანტიქართულმა ისტერიამ შეიპყრო. გუშინ რუსი კანონმდებლები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმების რატიფიცირებაზე მსჯელობდნენ.**

მოსკოვი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დიდი მონდომებითა და სიხარულით აშენებს სამხედრო ბაზებს. აქედან გამომდინარე მათ ტაში-ტუშით უნდა მოეხდინათ შეთანხმების რატიფიცირება. თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა და დუმის სხდომა საკმაოდ ცხარე დებატების თანხლებით გაიმართა.

პორტალი „პრესა.გე“ რუსულ მედიაზე დაყრდნობით იუწყება, რომ დუმამ სამხედრო ბაზების რატიფიცირების საკითხი სკანდალურ პირობებში განიხილა.

გუშინდელ სხდომაზე თავი განსაკუთრებით დეპუტატმა სემიონ ბაღდასარიანმა გამოიჩინა. ის იმდენად შევიდა აზარტში, რომ საქართველოსთან ომის დაწყებაც კი მოითხოვა,

— 2014 წლამდე საქართველოსთან ომი აუცილებელია, — განაცხადა სემიონ ბაღდასაროვმა.

რუსებისთვის ომის დაწყება და მისი გამართლება პრობლემა არასდროს ყოფილა. თუმცა რუსმა პოლიტიკოსებმა ამჯერად მიზანშეწონილად არ ჩათვალეს საქართველოსთან ომის აუცილებლობაზე ღიად ემსჯელათ.

„პრესა.გე“-ს ინფორმაციით, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლაი პანკოვმა განაცხადა, რომ ვითარება მარტივი არ არის და კარგი იქნებოდა, თუ ამ თემებს დახურულ რეჟიმში განიხილავდნენ.

სემიონ ბაღდასაროვმა აღშფოთება ქართული არმიის გაძლიერების გამოც გამოთქა. ის ერთადერთი არ არის დუმაში, რომელსაც ქართული არმიის გაძლიერება ნერვებს უშლის. რუსი პოლიტიკოსები ამ თემით გამუდმებით აპელირებენ. კრემლმა არაერთი საპროტესტო განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ დასავლეთი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში ეხმარება.

სემიონ ბაღდასაროვმა გუშინდელ სხდომაზე ღიად განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება შემაშფოთებელ სახეს იღებს. ამის გარდა დეპუტატს მშობლიური არმიაც შემოელანძღა.

— რუსეთის გენშტაბი ინტელექტუალურად დასუსტებულია და სრულ დეგრადაციას განიცდის, — აცხადებს დეპუტატი.

რუსულ არმიაში, როგორც ამბობენ, საკმაოდ რთული ვითარებაა. გენერალიტეტი თავდაცვის მინისტრის ანატოლი სერდიუკოვის საქმიანობით აშკარად უკმაყოფილონი არიან.

გასულ წელს მას რამდენიმე გენერალთან მოუვიდა უთანხმოება. პირველი მას მედესანტეები აუმხედრდნენ. სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. გენერლები პუტინთანაც კი მივიდნენ. როგორც რუსული მედია წერდა, პუტინმა მხარი გენერლებს დაუჭირა. სერდიოუკოვს კი პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული ვადები დაუწესა. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობიდან დათხოვნით დაემუქრა.

სერდიოკოვი ჯერ ისევ თანამდებობაზეა. გენერლებთან კი უთანხმოება ისევ გრძელდება. ცოტა ხნის წინ თანამდებობა რამდენიმე გავლენიანმა ფიგურამ დატოვა.

რუსულ არმიაში არსებული ვითარება რუსმა პოლიტიკოსებმა აგვისტოს ომის შემდეგაც დაიწუნეს. მართალია ის ომი ჩვენ წავაგეთ, მაგრამ რუსულმა არმიამ თავი დიდად ვერ გამოიჩინა.

ბაღდასაროვი რუსულ არმიაში არსებული კორუფციითაც აღშფოთებულია. მას მიაჩნია, რომ აფხაზებმა და ოსებმაც უნდა გაანძრიონ ხელი და მარტო რუსების იმედად არ უნდა იყვნენ.

— რუსმა პეტროვმა და ივანოვმა კი არ უნდა იომოს, აფხაზები და ოსები უნდა მოვამზადოთ. ამბობენ, ფული არ არის შეიარაღებისთვისო. სად წავიდა 30 მილიარდი? ყველაფერი არ უნდა მოვიპაროთ, — განაცხადა ბაღდასაროვმა.

ბაღდასაროვის გამოსვლის შემდეგ კი დეპუტატმა ივან გრაჩოვმა საჭიროდ ჩათვალა, იქვე განემარტა, რომ კოლეგის განცხადება საქართველოსთან ომის აუცილებლობის შესახებ, „სპრავედლივაია როსიას“ ოფიციალური პოზიცია არ არის.

„პრესა.გე“-ს ცნობით, რუს დეპუატატებს კარგი დღე არც აფხაზებისთვის დაუყრიათ. ისინი უკმაყოფილონი არიან, იმით, რომ აფხაზები არ ასრულებენ ბაზების შესახებ 2008 წელს გაფორმებულ შეთანხმებას და ჯერაც არ უბოძებით რუსეთისათვის უძრავი ქონება.

დეპუტატი ვალერი სელეზნიოვისათვის მიუღებელია, რომ რუსები ცალმხრივ რეჟიმში აგრძელებენ აფხაზეთის კვებას. 2009-2010 წლებში 8 მილიარდი, 2011-ში კი 5 მილიარდი გაიღეს, ეს კი ის თანხაა, რომელიც ფედერაციის ზოგიერთ სუბიექტს არც კი დასიზმრებია. ამ ფონზე სელეზნიოვს აინტერესებს, გადმოსცეს თუ არა აფხაზებმა აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ქონება რუსეთს.

ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ იმედია, მოხდება, ვმუშაობთ... — ასეთია თავდაცვის სამინისტროს პასუხი.

დუმის გუშინდელ სხდომაზე რუსმა დეპუტატებმა სანატორიუმ „სოხუმთან“ დაკავშირებითაც გაინერვიულეს თავი. ამ სანატორიუმის გარწემო დავა უკვე დიდი ხანია რაც მიმდინარეობს.

რამდენიმე თვის წინ სანატორიუმის თანამშრომლები დაითხოვეს. მათ უთხრეს, რომ სანატორიუმს რემონტი უნდა ჩაუტარდეს.

სანატორიუმის თანამშრომლებმა დახმარებისთვის აფხაზეთის ხელისუფლებას მიმართეს. მაშინ ბაღაფში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ბაღაფშმა კონკრეტული არაფერი თქვა და არც გააკეთა. ამის შემდეგ დათხოვნილმა პერსონალმა დახმარებისთვის რუსეთის თავდაცვის მინისტრს მიმართა. შედეგი არც ამან გამოიღო.

სანატორიუმის თანამშრომლების დათხოვნის გამო დუმის სხდომაზე თავი კომუნისტმა დეპუტატმა ლეონიდ კალაშნიკოვმა გაინერვიულა. მან რემონტის მიზეზით სანატორიუმ „სოხუმიდან“ 1300 თანამშრომლის დათხოვნა გააპროტესტა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა რემონტის გეგმა ამ დრომდე არ არსებობს.

— თუკი არ არის რემონტის გეგმა, რისთვისღა დახურეს ობიექტი, ადამიანებს კი სამსახური წაართვეს?! მაშინ, ეს, სოხუმის ცენტრში 20 ჰექტარზე განთავსებული ობიექტის რეიდერულ მიტაცებას ჰგავს, — განაცხადა კალაშნიკოვმა.

მას ისიც აღელვებს, რომ ფული, რომელსაც რუსეთი სამხრეთ ოსეთსაც აძლევს, შავ ხვრელში იკარგება.

კომუნისტ კალაშნიკოვის აზრით, ასეთი შავი ხვრელების აღმოცენებას სწორედ რუსეთში არსებული კორუფცია განაპირობებს.

— თუმცა, შეთანხმების რატიფიცირება უნდა მოხდეს, ეს ჩვენი ფორპოსტია მტრულად განწყობილი სახელმწიფოების გარემოცვაში, — განაცხადა კომუნისტმა დეპუტატმა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ხალისიანმა ჟირინოვსკიმაც დააფიქსირა. მისი მტკიცებით ყველაფერი ცუდად არის. ამის მიუხედავად ის შეთანხმების რატიფიცირების მხარდამჭერთა რიგებში ჩადგა.

— ყველაფერი ცუდადაა, მაგრამ ჩვენ მაინც დავუჭერთ მხარს ამ დოკუმენტს, — განაცხადა მან.

ჟირინოვსკი კოლეგებს იმაზეც ესაუბრა, როდემდე იქნებიან აფხაზები პრორუსულები და როდემდე ექნებათ კრემლის პატივისცემა.

— ოსები და აფხაზები რუსებს მანამ სცემენ პატივს, ვიდრე მათ საქართველო ემუქრება. თურქეთში 600 ათასი აფხაზი ცხოვრობს, ისინი შეაღწევენ აფხაზეთში და მოსახლეობა იქ იქნება არა პრორუსული, არამედ პროთურქული, — ამბობს ჟირინოვსკი.

აფხაზეთის ხელისუფლება ბოლო დროს საეჭვოდ დაუახლოვდა თურქეთს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ის თურქეთს ეწვია. აფხაზები უკვე აცნობიერებენ, რომ მარტო რუსეთის იმედად ყოფნა არ არგებთ. ამიტომაც საშველს თურქეთში ეძებენ. რაც ჟირინოვსკის არ გამოეპარა.

# საქართველო კრიმინალური სახელმწიფოა

## გონივრული ეჭვის საფუ ველზე უკვე 5§ ათასი ახალგაზრდა გაჩხრიკეს

გულიკო ბალა ე

**ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან**

*— ბატონო გიორგი, არის ორი სოლიდური ორგანიზაციის — დაოსის ეკონომიკური ფორუმისა და გაეროს მონაცემები საქართველოს შესახებ, რომელსაც თქვენ ხშირად ახმოვანებთ ხოლმე ქართველი საზოგადოების გასაგონად. ხელისუფლება კი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს ამავე ორგანიზაციების მონაცემებს. რატომ არის განსხვავება თქვენსა და ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის?*

— არც ერთი მონაცემი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან — არც გაეროს, არც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და არც მსოფლიო ბანკის. ესენი ერთმანეთთან მიბმული და ურთიერთდაკავშირებული მონაცემებია. უბრალოდ, თუ რამეს კონტექსტიდან ამოგლეჯ და ისე აჩვენებ, ბუნებრივია, ილუზია შეიქმნება, რომ აქ რაღაც სხვაშია საქმე. ყველაზე სრულყოფილია მსოფლიო ბანკისა და გაეროს მონაცემები, რომელიც სისტემატურად, ყოველწლიურად, ოპერატიულად ქვეყნდება (უამრავი ინდექსი და უამრავი მონაცემია ყველა მიმართულებით) დაოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ. მოგეხსენებათ, დაოსის ფორუმი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ეკონომიკური ფორუმია. იქ იკრიბებიან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პირველი პირები, პირველი ბიზნესმენები, ანუ ყველაზე მდიდარი ხალხი. ეს ფორუმი უკვეთავს ხოლმე წამყვან საერთაშორისო ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, ექსპერტებს შეფასებებს. ამიტომ ამ მონაცემებში თავმოყრილია ხოლმე ყველაფერი, რასაც ამოგლეჯილად „რუსთავი-2“ აჩვენებს, თუმცა, არის სხვა მონაცემები, რომელიც კატასტროფულ სიტუაციაზე მიუთითებს.

*— რეკლამას რომ აკეთებენ, საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა მსოფლიოშიო. ესეც კონტექსტიდან ამოგლეჯილია?*

— უსაფრთხო? დავადასტურებ ამას, მაგრამ რეალობა ხომ უნდა ვნახოთ...

*— როდესაც ხელისუფლება საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის თაობაზე რეკლამას აკეთებს, ამ დროს სახელისუფლებო არხების საინფორმაციო გამოშვებები კრიმინალურ ქრონიკებადაა გადაქცეული, იმდენი დანაშაული ხდება. ვერ გამიგია, როგორ არის უსაფრთხო ქვეყანა?*

— ახლა გამოქვეყნდა დაოსის ეკონომიკური ფორუმის 2010-2011 წლის მონაცემები. მაგალითად, ბიზნესის გახსნის მისაწვდომობა და დრო, რამდენ ხანში შეიძლება გახსნა, მესამე ადგილი მსოფლიოში. ხომ კარგი მაჩვენებელია?

*— დიახ, მაგრამ, ისიც საკითხავია, ვინ ხსნის ბიზნესს დღეს საქართველოში? ისევ თვითონ და მათთან დაახლოებული პირები.*

— პროცედურების მიხედვით, რომლებიც საჭიროა ბიზნესის დაწყებისთვის — მერვე ადგილზე ვართ. ესეც კარგი ადგილია. თუმცა, განვითარებული ქვეყანებიდან (მაგალითად, შვეიცარია და სხვები) ზოგი 22-ე ადგილზეა, ზოგიც — 30-ზე, იმიტომ რომ იქ კონტროლის სისტემებია. როდესაც კონტროლის ყველა მექანიზმს მოხსნი, არც ეკოლოგიური ექსპერტიზა სჭირდება და არც სამშენებლო ნებართვა, შეიძლება, პირველ ადგილზეც გახვიდე. ეს იგივეა, ჩახვიდე დაუსახლებელ კუნძულზე და მშენებლობა დაიწყო. იქ არავინ არაფერს მოგთხოვს. შენობა თავზე დაგექცევა, მოიწამლები თუ კატასტროფაში მოყვები, სხვა ამბავია, მაგრამ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში კონტროლის სისტემა დანგრეული არ არის. თუ კონტროლის სისტემას დაანგრევ, შეიძლება, პირველ ადგილზეც გახვიდე. ის, რომ შეგიძლია მიხვიდე, ვთქვათ, გაზეთის ჯიხურში და იქ გახსნა ბიზნესი, არაფრის მეტყველი არ არის. როდესაც ბიზნესმენი ფიქრობს, ქვეყანაში შემოვიდეს თუ არა, პირველ რიგში, ამ მონაცემებში იხედება. მას არ აინტერესებს, რამდენად სწრაფად გახსნის ბიზნესს. მას აინტერესებს, როგორი ეკონომიკური სიტუაციაა ქვეყანაში. არის ასეთი ინდექსი: არსებობს თუ არა ქვეყანაში კონკურენცია, ანუ არსებობს თუ არა თავისუფალი ბაზარი? ჩვენ 2009 წელს 133 ქვეყანას შორის 115-ე ადგილზე ვიყავით. 2010 წლისთვის 124-ე ადგილზე გადავხტით. ერთი კვირის წინ გამოქვეყნებული მონაცემებით, მდგომარეობა კიდევ გაუარესდა და 128-ე ადგილზე ვართ მსოფლიოში თავისუფალი ბიზნესის კონკურენციის მიხედვით. შიდა ბაზარზე თავისი ცალკეული კორპორაციების მონოპოლისტების დომინირება (ხომ ვუყურებთ, ყველაფერი ერთი კაცის ხელშია) — 112-ე ადგილი მსოფლიოში. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობა — 135-ე ადგილი, რომელიც ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილია მსოფლიოში. საკუთრების უფლების დაცვის (რაც ინვესტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია) მონაცემებით (ინვესტორმა დაინახა, რომ ქვეყანაში კონკურენცია არ არის, პირდაპირ მონოპოლისტები სხედან და ყველაფერს ისინი აკონტროლებენ. ამიტომ ფიქრობს, იქნებ კერძო საკუთრების დაცვის საშუალება იყოს, თუ გავხსენი ბიზნესი, ვიყიდე შენობა ან რაღაც) — 120-ე ადგილზე ვართ მსოფლიოში. ამ ინდექსით მსოფლიოში 109-ე ადგილზე ვიყავით 2009 წელს. სასამართლო ხელისუფლება — 91-ე ადგილი მსოფლიოში.

*— სასამართლოს თავისუფლების ეს ინდექსიც, ალბათ, შედარებითია, რადგან თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც.*

— რა თქმა უნდა. თქვენ შვეიცარიის, ჰოლანდიისა და გერმანიის მონაცემები უნდა ნახოთ, საუკეთესო ადგილებზე არიან.

*— ალბათ, ჩვენ ასეთ ქვეყნებს არც გვადარებენ.*

— არა. ჩვენ მთლიანი კონკურენტუნარიანობით მსოფლიოში ზოგადად 90-ე ადგილზე ვართ, ჩამორჩენილი ქვეყნების უკან. ადგილობრივი მწარმოებლების რაოდენობით 139-ე, ბოლო ადგილი გვიჭირავს.

*— რა გასაკვირია. ადგილობრივი წარმოება, ფაქტობრივად, არ არსებობს.*

— დიახ, არაფერი არ არის. მოწოდებული პროდუქციის ხარისხის მიხედვითაც 130-ე ადგილზე ვართ. ყველაზე საშინელი ისაა, 196-ე ადგილზე ვიყავით მეცნიერებისა და ინჟინრების კონტინგენტით (რაც მნიშვნელოვანია განვითარებისთვის) — ახლა 120-ე ადგილი გვაქვს მოკუთვნებული. განათლების მინისტრი რომ აცხადებს, რეფორმა და რეფორმაო, უნდა ნახო, როგორი ინდექსი აქვს განათლების სისტემას.

*— სამეცნიერო დაწესებულებები გაუქმდა და რაღა განათლების სისტემაა.*

— სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დონე — 116-ე ადგილი მსოფლიოში. ამ ინდექსით, მსოფლიოში თავის დროზე ერთ-ერთი მოწინავე ვიყავით. სკოლების მართვის ხარისხით 115 ადგილზე ვართ, ხოლო სწავლის ხარისხით — 116-ე ადგილზე. ასეთია რეალობა. ამიტომაც საქართველოში ინვესტიციები აღარ მოდის. საგარეო ინვესტიციების შემოსვლის მიხედვით კატასტროფული სიტუაციაა. ფაქტობრივად, საქართველოში გარედან ფული არ შემოდის. თუ შემოდის, შემოდის ოფშორული ზონებიდან, ანუ იმ ადგილებიდან, სადაც საიდუმლოდ არიან რეგისტრირებული. კაცმა არ იცის, ვინ არიან ისინი...

*— თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლებს ხომ არ აქვთ ფირმები ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული და შავი ფული ხომ არ შემოდის ვითომ ინვესტიციის სახით?*

— რა თქმა უნდა. თავისი ფულია. ან ესენი არიან, ან რუსები ამათთან ერთად. ახლა გაუყიდიათ ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა. ამა წლის სექტემბერში რაღაც ფირმა დაუფუძნებიათ და ის ყიდულობს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას. კაცმა არ იცის, ვინ დგას მის უკან. ამას ეძახის ხელისუფლება ინვესტიციას. მსოფლიოში უამრავი ფულია, სად დააბანდონ, არ იციან. ფული არაფერია, თუ კაპიტალში დაბანდებული არ არის. ხელისუფლება ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას აპიარებდა, წივილ-კივილი იყო — იქ გადასახადები არ იქნება და ფოთი გადაიქცევა ცენტრალურ ქალაქად, იმდენი ადამიანი იცხოვრებს, ველარ დაეტევა, უამრავი ინვესტიცია შემოვაო, მაგრამ კაციშვილი არ შევიდა.

*— ახლა ასეთი წივილ-კივილი ანაკლიის თაობაზეა.*

— ანაკლიაში ერთი სახლი ააშენეს და დაარქვეს ქალაქი ანაკლია.

*— რაც მთავარია, ამ ტყუილების რეკლამაში ბიუჯეტიდან დიდი ფული იხარჯება...*

— ეგ გადაყრილი ფულია. როცა ხელისუფლება საუბრობს საქართველოზე, როგორც უსაფრთხო ქვეყანაზე, უნდა ჩავუკვირდეთ მონაცემებს 2003 წლიდან 2011 წლის ივნისის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემით, მსჯავრდებულების რაოდენობა შეადგენს 134 ათას 400 კაცს. საქართველოში ყველა მე-7 ოჯახის წევრი მსჯავრდებულია, რომელთაგან ზოგს ფული აახიეს, ზოგი საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს და ა.შ. ბოლო მონაცემებით, პატიმართა რაოდენობა 24 200 კაცია, როდესაც 2003 წელს რამდენი იყო, არ გაინტერესებთ?

*— 6 თუ 7 ათასი.*

— 6 100. მათივე მონაცემებით, ციხეებში ერთ ადგილზე ზოგან ორი კაცი მოდის, ზოგან — 3. მათ რიგრიგობით სძინავთ.

*— გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკშიც კი ერთ ადამიანს თავისთვის გამოყოფილი ადგილი ჰქონდა დასაძინებლად, სააკაშვილის განვითარებული ქვეყნისციხეებში კი მუდამ ადგილის პრობლემაა.*

— თუ საერთაშორისო ექსპერტი ამ მონაცემებში ჩახედავს, იტყვის, ყველა მე-7 ოჯახში როგორ შეიძლება იყოს თითო მსჯავრდებულიო. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ საქართველო კრიმინალური სახელმწიფოა, რომელშიც ჩამოსვლა საშიშია, იმდენი უბედურება ხდება. ე.ი. გარედან ვინც ჩაუკვირდება ამ მონაცემებს, იტყვის: ამ ქვეყანაში გავლაც კი საშიშიაო. ამიტომ, რა ტურიზმზე შეიძლება ლაპარაკი? ამდენი დაპატიმრებისა და უბედურების მიზანია, ერთი მხრივ, საზოგადოების დაშინება — შენ გარშემო ზოგს რომ დაიჭერენ, ზოგს ფულს აახევენ, ზოგს ჩასვამენ ციხეში და მერე ევაჭრებიან, ფული გადაიხადეო. ამას სინამდვილეში ჰქვია მძევლად აყვანა ფულის გამოძალვის მიზნით. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება. როდესაც შენ ადამიანს ტყუილად, ფულის გამოძალვის მიზნით დაიჭერ და ამას ბიუჯეტის შემოსავლის წყაროდ გადააქცევ, ეს წმინდა კრიმინალური ქმედებაა. 2010 წლის მონაცემით, საპროცესო შეთანხმებებით საქართველოში გადაიხადეს 112 მილიონი ლარი.

*— შეტანილი ფული ყველა აღირიცხება? ადრე ხომ იყო შემთხვევები, როცა ფულის ნაწილი ბიუჯეტის გვერდის ავლით ნაწილდებოდა და სად მიდიოდა, კაცმა არ იცოდა?*

— ეს არის ოფიციალური მონაცემი. ამის იქით ვის რამდენი მიატანინეს და სად წავიდა, ჩვენ არ ვიცით.

*— ბატონო გიორგი, ამ ზაფხულს ტურისტული ბუმი არ ყოფილა?*

— ეს ჰკითხეთ იმ ხალხს, ვინც ბათუმში იყო.

*— თქვენ ბათუმში არ ყოფილხართ?*

— მე ბათუმში არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩემ გარშემო მყოფი უამრავი ადამიანი ყვება, რომ, ფაქტობრივად, ხელისუფლების ტურისტული გეგმა ჩავარდა. ამათ თქვეს, რომ 3 მილიონამდე ტურისტს ელოდებოდნენ. ხომ იცით, სააკაშვილი რაღაც ციფრს დააბრეხვებს (რომელიც არავითარ ლოგიკაში არ ჯდება) და გარშემო არსებული მონები, რომლებიც სხვადასხვა სამსახურში სხედან, ცდილობენ, როგორმე ეს ციფრი რეალური გახადონ. ძალიან ბევრი იბრძოლეს, ყოველდღე ვიღაც ჩამოჰყავდათ, ათეულობით მილიონი გადაყარეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ტურისტული ბიზნესი ასე არ კეთდება. ქვეყანაში, სადაც ასეთი მდგომარეობაა, ციხეები გატენილია პატიმრებით, ხალხს ქუჩებში იჭერენ, იზოლატორებში აგდებენ, იქ ტურისტად ვინ ჩამოვა. ერთ-ერთი გამოკვლევით, მხოლოდ გასულ წელს 57 ათასი ახალგაზრდა გააჩერეს შარშან მიღებული კანონით, გონივრული ეჭვის საფუძველზე.

## სააკაშვილი შვეიცარიის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გაეროს გენერალური ასამბლეის 66-ე სესიის ფარგლებში, შვეიცარიის პრეზიდენტს მიშელინ კალმი-რეის შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და სამომავლო გეგმები დასახეს. საუბარი შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში შვეიცარიის, როგორც მედიატორი ქვეყნის როლის გაზრდასაც.

ორი ქვეყნის პირველი პირები შეთანხმდნენ, რომ, ამ თვალსაზრისით, დიალოგი კვლავაც გაგრძელდება და მხარეები უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ. მიხეილ სააკაშვილმა და მიშელინ კალმი-რეიმ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხის შესახებაც ისაუბრეს.

**მედიანიუსი**

## ყალბი ვალუტის დამზადება-გასაღებაში ბრალდებულები დააკავეს

ყალბი უცხოური ვალუტისა და ყალბი ეროვნული ლითონის მონეტების დამზადება-გასაღების ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ინგა ხონელიძე და ივანე სარალიძე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით, ხონელიძე ეროვნული და უცხოური ყალბი ვალუტის რეალიზებას ახორციელებდა. ნიმუშის სახით, მან ერთ-ერთ მოქალაქეს გადასცა 100 ევროს ყალბი კუპიურა, ასევე, 50 თეთრიანი მონეტა, რომლის დიდი ოდენობით გასაღებაში, კლიენტს საერთო თანხის 40% მოსთხოვა.

ბრალდებულმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, 300 ევროს ყალბი კუპიურების გასაღება მოასწრო, რაშიც თანხის 40% აიღო.

მისი აღიარებითი ჩვენებით ირკვევა, რომ ყალბ ფულს ივანე სარალიძისგან იძენდა. სამართალდამცველებმა ბრალდებულები ფაქტზე დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

## პედაგოგის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებული, 34 წლის ფრიდონ ტალახაძე.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის 19 სექტემბერს საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩში ბრალდებული ჩაუსაფრდა ამავე სოფლის საჯარო სკოლის პედაგოგს გულნაზი ტეფნაძეს, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და ჩააგდო მდინარე ღოდორულაში, სადაც ბლაგვი საგნის გამოყენებით მიაყენა სასიკვდილო დაზიანებები. გულნაზი ტეფნაძე ადგილზე გარდაიცავალა, ხოლო ტალახაძე მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. სამართალდამცავების მიერ ცხელ კვალზე გატარებული ოპერაიულ საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ბრალდებული იმავე დღეს დაკავებული იქნა საკუთარ საცხოვრებელ სახში. ბრალდებული აღიარებს მისმიერ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 108 მუხლით.

**მედიანიუსი**

# სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადება კონსტიტუციის დარღვევაა

## განათლების პროგრამა მატრაკვეცა მშობლების შეხედულებებზე არ უნდა აიგოს

**რა პოლიტიკა ტარდება სახელმწიფო ენასთან მიმართებაში და რამდენად სახიფათოა სკოლებში პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლა, რასაც ასეთ პროპაგანდას უწევს სააკაშვილის ხელისუფლება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ გოგი გოგოლაშვილთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო გოგი, ფაქტია, ძალიან ბევრი, მათ შორის სპეციალისტებიც და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც საუბრობენ, რომ ხელისუფლება სახელმწიფო ენასთან მიმართებაში სახიფათო პოლიტიკას ატარებს. რას იტყვით, როგორც ენის სპეციალისტი, საით მიდის ხელისუფლების პოლიტიკა ქართულ ენასთან დაკავშირებით?***

— ენობრივი პრობლემა აქტუალური არც ოპოზიციაშია და არც ხელისუფლებაში. მე ვერ ვიტყვი, რომელიმე ოპოზიციურ პარტიას, რომელიც თავგადადებული იყოს და იცავდეს ენობრივ ინტერესებს. ერთი-ორი გამოსვლა იყო, მაგრამ ისე, რომ თანმიმდევრული ნაბიჯები, მკვეთრი და სისტემური მსჯელობა დედაენაზე, სამწუხაროდ, ჩვენ გვენატრება. არადა, პრობლემები საკმაოდ იყრის თავს.

***— ამ კუთხით მუშაობა საეროვნულად გასააქტიურებელია?***

— აუცილებელიც არის, არა მარტო გასააქტიურებელი. აუცილებელია, რომ ეს პრობლემა დაისვას და რაც მთავარია, დედა ენას უპირველეს ყოვლისა სჭირდება სამთავრობო ზრუნვა. სახელმწიფო უნდა იცავდეს და უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო ენაზე. ეს ბევრ ასპექტს მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, ეს ენის სწავლების საკითხი; დედა ენაზე სწავლების საკითხი და დედაენის სწავლის საკითხი. ყოველთვის ასე იყო. საერთაშორისო სტანდარტები და ამ სტანდარტების მიხედვით შეიმუშავა 2004 წელს ჩვენმა ხელისუფლებამ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომ უცხო ენა მესამე სასწავლო წელს უნდა შესულიყო საგანმანათლებლო გეგმაში. ამ დროს შეიცვალა და პირველივე კლასში ვიწყებთ უცხო ენის სწავლას — ინგლისური ენის სწავლას. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო სტანდარტებს და ჩვენს ტრადიციებს. აქ ტრადიციუბზე კი არ არის საქმე, უპირველეს ყოვლისა, აქ მთავარი არის გამოცდილება, მშობლიურ ენასთან ერთად შეიძლება თუ არა ბავშვმა ისწავლოს უცხო ენა და თუ ეს არის შესაძლებელი, მაშინ ზიანდება თუ არა მშობლიური ენის ინტერესები, ილახება თუ არა. სხვათა შორის, ამაზე ლაპარაკობდა გოგებაშვილი, უშინსკი, გომენსკი და ვინც კი გინდათ; ვინც კი არიან ცნობილი პედაგოგები. თუ ვინმე მეტყვით, რომ ეს მე-19 საუკუნეა, ამას წინათ ძალიან საინტერესო წერილი დაწერა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მამამთავარმა შოთა ნადირაშვილმა, რომელმაც თქვა, რომ ბავშვი თუ დედაენაზე არ ისწავლის წერა-კითხვას, მისი გონებითი შესაძლებლობები დაზიანდება. არავინ არ უსმენს ამას და სამწუხაროდ, შეიცვალა სტანდარტებიც. ეს ყველაფერი ხდება დედაენის ხარჯზე. ეს უეჭველად იმოქმედებს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე.

***— ანგლიკანიზაციის პროცესი და ეს საფრთხე, რომელზეც ოპოზიცია საუბრობს და რომელსაც ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აფასებს, მართლაც სახიფათო პოლიტიკაა?***

— სამწუხაროდ, ძალიან სახიფათოა. სხვათა შორის, ამას წინათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინს კომენტარი ჰკითხეს, რომელმაც შეცდომა დაუშვა, როცა თქვა, ასე არ იყო, რუსულ ენას დედაენასთან ერთად პირველ კლასში სწავლობდნენო. რუსეთის იმპერიის პირობებშიც კი რუსული ენა პირველ კლასში არ ისწავლებოდა. რუსულ ენას მეორე კლასიდან ვიწყებდით. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ მეორე კლასში 8 წლის ბავშვი იყო, იმიტომ, რომ 7 წლისა შედიოდა სკოლაში. სხვათა შორის, დღევანდელ ინგლისში, ბრიტანეთში, სადაც დედაენის მიმართ ძალიან დიდი ინტერესია, მიდის ზრუნვა და თავდადება, სადავოა და სენატს უნდა განეხილა, უცხო ენის სწავლა 8 წლის ბავშვმა უნდა დაიწყოს თუ 9 წლისამ. უმეტესობა იქითკენ იხრება, რომ 8 წლის ბავშვმა კი არა, მხოლოდ 9 წლის ბავშვის გონებითი შესაძლებლობები თუ ასწევს იმ ტვირთს, რასაც უცხო ენის სწავლება ჰქვია. ჩვენ ეს ყველაფერი დავარღვიეთ. ინტერესი რა არის? მიზანი რა არის? ვერ გეტყვით. სასიკეთო მიზანი ამას არ შეიძლება ჰქონდეს. შედეგები აუცილებლად სავალალო იქნება. ამ შედეგებს დღეს და ხვალ კი არა, წლების შემდეგ მოვიმკით. ჩინოვნიკები რომ გამოდიან და ამბობენ, მშობლებს ძალიან მოსწონთ ის, რომ მისი ბავშვი ბაღშიც და პირველ კლასშიც ინგლისურად სწავლობს, მაპატიეთ, მაგრამ მატრაკვეცა მშობლები არ უნდა იყოს საზომი, განათლების სისტემის მესვეურთათვის სასწავლო პროგრამა როგორ აიგოს.

***— ხელისუფლება ამას ამართლებს იმით, რომ ეს აუცილებელია თანამედროვე მსოფლიოსთან ინტეგრაციისთვის.***

— მსოფლიოსთან ინტეგრაციისთვის აუცილებელია უცხო ენის სწავლა, მაგრამ უცხო ენის სწავლა არ უნდა იყოს ხელის შემშლელი მშობლიური ენის ათვისებისა და სწავლისა. და რაც მთავარია, იცით რა ხდება? ეს გოგებაშვილმა ჩამოაყალიბა კარგად და დღეს არავინ არ უარყოფს ამას, არც პედაგოგიკაში, არც ფსიქოლოგიაში და არც ენათმეცნიერებაში, რომ ბავშვის გონებითი შესაძლებლობა ერთი საფეხურით დაბლა დაიწევს, როცა ის მშობლიურ ენაზე არ ისწავლის წერა-კითხვას და ანგარიშს. თუ ინტეგრაციისთვის უცხო ენის ცოდნა კარგია, უცხო ენის ცოდნა მაშინ შეიძლება იყოს სრულყოფილი და სრულფასოვანი, თუ ის დაფუძნებულია მშობლიური ენის სწავლაზე. ზუსტად ასე არის ფორმულირებული ცნობილი ფსიქოლოგების, ენათმეცნიერების, გენეტიკოსების, პედაგოგების შრომებში, რომ ჯერ უნდა ისწავლოს ბავშვმა მშობლიურ ენაზე და შემდეგ გადავიდეს უცხო ენაზე. თანაც ჯერ შეიძლება დაიწყოს ერთი უცხო ენა, რამდენიმე წლის შემდეგ კი — მეორე.

***— ბატონო გოგი, ეს ყველაფერი არ იცის განათლების მინისტრმა თუ მიზანმიმართული პოლიტიკაა მისი მხრიდან?***

— არ შეიძლება არ იცოდეს. იმიტომ, რომ როგორც გითხარით, 2004 წელს სახელმწიფოს სტანდარტები რომ შემუშავდა, რომელიც 2010 წლამდე იყო ძალაში, იქ ასე იყო, შარშან შეიცვალა ეს სტანდარტი, პირველ კლასში შემოიტანეს უცხო ენა. ამ ხელსიუფლების მიერ მიღებული სტანდარტი იყო, რომ პირველი უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს მესამე კლასში, მეორე უცხო ენა — მეშვიდე კლასში. ანუ მეშვიდე კლასამდე ბავშვი მარტო ერთ უცხო ენას უნდა სწავლობდეს. მეშვიდედან მეათე კლასამდე შეიძლება ბავშვმა ისწავლოს ორი უცხო ენა, ხოლო მეათე კლასში მას შეიძლება მესამე უცხო ენა მივაწოდოთ, ოღონდ ერთ-ერთის ნაცვლად. ასე რომ, ერთდროულად შეიძლება ბავშვი სწავლობდეს მშობლიურ ენასთან ერთად ორ უცხო ენას. ეს არის საერთაშორისო სტანდარტები და ამას ეფუძნებოდა 2004 წელს შემუშავებული სტანდარტებიც, რომელიც 2010 წლამდე მოქმედებდა.

***— ბატონო გოგი, ეროვნული ფორუმის მსგავსად ბევრი თვლის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ინგლისური ენა სახელმწიფო ენის რანგში აჰყავს და ქვეყანაში ფაქტობრივად მეორე სახელმწიფო ენის დონეზეა. ეს ხომ ანტიკონსტიტუციურია? გუბაზ სანიკიძე ამას ქართულ ენაზე შეტევად აღიქვამს...***

— მე ვერ გეტყვით, ეროვნული ფორუმის პოლიტიკა როგორია, მაგრამ გეტყვით, რა ხდება. სახელმწიფო ენა გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოში ის უნდა იყოს უპირველესი ენა. ეს ნიშნავს იმას, რომ ოფიციალური ენა ნებისმიერ დაწესებულებაში უნდა იყოს ქართული ენა ანუ სახელმწიფო ენა. მოთხოვნა იმისა, რომ თუ ინგლისური არ იცი, მე შენ სამსახურს არ დაგაწყებინებ, ეს ნამდვილად ანტიკონსტიტუციური მოთხოვნაა. არავის არ აქვს ამის უფლება, რომ ასეთი მოთხოვნა დააწესოს, როცა კონსტიტუციაში წერია, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. როცა სახელმწიფო ენა არის ქართული, საგანმანათლებლო კანონშიც არის და ა.შ., უცხოენოვანი დაწესებულებები, უცხოენოვანი სასაწავლებლები — ეს ყველა უნდა იყოს საგანგებო მსჯელობის საგანი და საგანგებო სამთავრობო მსჯელობის თემა. სამწუხაროდ, ეს ჩვენთან იგნორირებულია.

***— მოდით, შევეხოთ რეგიონულ თემებს. დავით დარჩიაშვილის კომენტარი გავრცელდა, სადაც მინიშნებულია, რომ ამ კუთხით სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებებიც აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, თუმცა ამ ეტაპზე დაჩქარება არ ხდება.***

— ჯერ ერთი, ჩვენ არა გვაქვს ენის კანონი, სადაც იქნება განმარტება იმისა, რას ნიშნავს რეგიონული ენა. თუ რეგიონული ენა იმას გულისხმობს, რომ ამა თუ იმ რეგიონში სახელმწიფო ენის ფუნქცია იტვირთოს სხვა ენამ, ეს უკვე ანტიკონსტიტუციური ქმედებაა. რეგიონში რეგიონულ ენაზე რომ იყოს საქმის წარმოება, მაშინ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს. და კონსტიტუციაში თუ სახელმწიფო ენა არის ჯავახეთში ქართული ენა, რას ნიშნავს, სომხური ენა იყოს რეგიონული ენა ჯავახეთში? ეს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინათ, 90-იან წლებში მუშავდებოდა ენის კანონი. ოღონდ როგორც მახსოვს, 2002 წელში იყო განხილვა და ეს კანონი პარლამენტს გადაეცა. მაგრამ იქ მოხდა უცნაური რამ: როცა სახელმწიფო ენის კომისიიდან წავიდა კანონი და ჩაემატა მე-12 მუხლი, სადაც იყო საუბარი სწორედ რეგიონულ ენებზე. ამ მუხლის ფორმულირება დაახლოებით ასეთი იყო, რომ ამა თუ იმ რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ხმათა უმრავლესობით შესაძლებლობა ეძლევათ, თავიანთი ენა მიეღოთ სამუშაო ენად. ანუ საკრებულოს ხმათა უმრავლესობა გადაწყვეტდა იმ რეგიონში იმ საკრებულოს გამგებლობის არეალში არ ყოფილიყო ოფიციალური ენა. ამაზე მაშინ ძალიან დიდი ამბავი ატყდა. უნივერსიტეტი იყო მოთავე, როგორც ყოველთვის, ყველა დიდი საქმისა. მაშინ პარლამენტში ნოდარ ამაღლობელმა განაცხადა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წინააღმდეგია და არგუმენტირებული წინააღმდეგობა დააფიქსირა, ამიტომ ეს კანონი შეჩერდება, სანამ ეს პუნქტები არ დაიხვეწება. ჩვენ მაშინ ვხედავდით დიდ საფრთხეს და ახლაც ვხედავთ დიდ საფრთხეს. თუ რომელიმე რეგიონში ენა გამოცხადდება რეგიონულ ენად, ეს ნიშნავს, რომ იმ რეგიონში სახელმწიფო ენა კარგავს თავის ფუნქციას. ქართული ენა დაკარგავს ფუნქციას და ამას მოჰყვება ათასნაირი პროვოკაცია.

# აშშ-ის ჯორჯიის შტატის გუბერნატორი შესაძლოა, საქართველოს ეწვიოს

აშშ-ის ჯორჯიის შტატის გუბერნატორი ნესან დილსი ადგილობრივ ბიზნესმენებთან ერთად შესაძლოა, ეკონომიკური და ბიზნეს-ურთიერთობების გასაღრმავებლად საქართველოს ეწვიოს.

შესაბამისი სურვილი შტატის გუბერნატორმა საქართველოს ვიცე-პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძისთან გამართულ ორმხრივ შეხვედრაზე გამოთქვა.

შეხვედრის მთავარი მიზანი ქართულ-ამერიკული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმევებისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა იყო.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი შეხვედრა ჯორჯიის შტატის გენერალურ პროკურორ სემ ოლენთან გაიმართა.

შეხდრაზე ვიცე-პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ, სასამართლო, პოლიციისა და საკანონმდებლო რეფორმებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოს, როგორც ყველაზე არაკორუმპირებულ სახელმწიფოდ აღიარებასა და პოლიციის მუშაობის გამჭვირვალეობაზე გაამახვილა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ვიცე-პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით აშშ-ში იმყოფება.

**პირველი**

# მოსკოვი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

მოსკოვი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით, „18 სექტემბერს მთიან ყარაბაღში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე გავლენას არ მოახდენს“.

მისივე თქმით, „რუსეთი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ განიხილავს“.

**მედიანიუსი**

# სომხეთს საქართველოს გავლით გაზის მიწოდება დროებით შეუწყდა

საქართველოს გავლით, რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტი დღეს დროებით შეწყდა.

ტრანზიტის შეფერხების მიზეზი სამშენებლო სამუშაოები გახდა. თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობის პარალელურად მაგისტრალური გაზსადენის ახალი მონაკვეთი შენდება. სწორედ ამ ახალი მონაკვეთის მშენებლობამ გამოიწვია სომხეთისთვის გაზის მიწოდების დროებით შეფერხება.

ახალი მონაკვეთის შეჭრით სამუშაოებს, რომელიც 4-5 დღეს გაგრძელდება, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია აწარმოებს. სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტი ყაზახი-საგურამოს 1000 მმ-იან მაგისტრალურ გაზსადენზე შეჭრით სამუშაოების დასრულებისთანავე განახლდება.

შეჭრითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ სომხური მხარე ინფორმირებულია.

**მედიანიუსი**

## ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

ვერონიკა, იგივე **ვერა ქობალია**, დაიბადა 1981 წლის 24 აგვისტოს ქალაქ სოხუმი.

1999 წელს დაამთავრა მეფე ჯორჯის სახელობის საშუალო სკოლა;

2004 წელს დაამთავრა ბრიტანეთის კოლუმბიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ბიზნესის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შედეგად 1996 წელს ემიგრირებული იყო კანადაში.

2010 წლის თებერვალში ვერა ქობალია დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა არასამთავრობო ორგანიზაციას — „კოალიცია სამართლიანობისათვის“, რომელიც დევნილთა უფლებების დაცვის საკითხებზე მუშაობდა.

2010 წლის 2 ივლისს ის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დაინიშნა.

ვერონიკა ქობალიას ჰყავს მეუღლე, გიორგი კვეკვესკირი, რომელიც, მინისტრის მსგავსად, წარმოშობით სოხუმიდან არის.

მინისტრის ქონებრივი დეკლარაცია საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. 2011 წლის გაზაფხულზე შევსებული დეკლარაციით თუ ვიმსჯელებთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ეკონომიკურად საკმაოდ ხელმოკლე ჩანს.

ვერა ქობალიას თბილისში და საერთოდ საქართველოში ბინა არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ქონებრივ დეკლარაციაში ასე წერია.

დეკლარაციის თანახმად, მას საცხოვრებელი ბინა კანადაში, ქალაქ ვანკუვერში აქვს. ბინის ფართი სულ რაღაც 20 კვ.მ.-ია.

არც მინისტრი და არც მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ რაიმე სახის ფასიან ქაღალდებს.

საქართველოს ბანკში გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე ვერა ქობალიას 5000.0 ლარი ერიცხება.

საქართველოს ბანკშივე აქვს გახსნილი სახელფასო ანგარიში, რომელზეც ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში 0.0 ლარი ერიცხებოდა.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ვერა ქობალია არ მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში.

გასულ წელს მინისტრის რანგში მყოფმა ქობალიამ ჯამაგირის სახით 42641.0 ათასი ლარი აიღო.

როგორც ვხედავთ, მინისტრი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობს.

ვერა ქობალია ქართულ პოლიტიკაში ძალიან უცნაურად და მოულოდნელად გამოჩნდა. მის შესახებ საზოგადოებამ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის შემდეგ შეიტყო.

ამ ოლიმპიადის წყალობით გავიგეთ, რომ კანადაში არის პურის საცხობი, სადაც ქართული პური ცხვება. ეს პურის საცხობი ქობალიას მამას ეკუთვნოდა.

მინისტრი ქობალია საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის რანგში დაბრუნდა. მაშინ მისი თაოსნობით დევნილების მხარდასაჭერად კონცერტი გაიმართა.

ეს კონცერტი ჩვენმა ხელისუფლებამ სერიოზულად დააპიარა. ამ კონცერტიდან მოკლე ხანში ქალაქში ხმა გავარდა, ქობალიას მინისტრად ნიშნავენო.

და რადგან ის წარმოშობით სოხუმიდან იყო და დევნილთა პრობლემებზე მუშაობდა, ჩათვალეს, რომ ლტოლვილთა მინისტრად დაინიშნებოდა.

მოლოდინი არ გამართლდა და ქობალია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დაინიშნა.

ამ საკადრო ცვლილებას საქართველოში ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჭორები ამ თემაზე დღესაც გრძელდება.

მინისტრად დანიშვნიდან ცოტა ხანში სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ფოტოები, სადაც ვერა ქობალია ბარის „სტოიკაზე“ ცეკვავს. ოპოზიციამ ამაზე დიდი წიოკი ატეხა.

ამ ფოტოებს ყურადღება უცხოურმა მედიამაც მიაქცია. ისინი მინისტრის მამასაც კი ესტუმრნენ ვანკუვერში. ქობალიას მშობელმა ფოტოებს უწყინარი ფოტოების კლასიფიკაცია მიანიჭა.

ფოტო-სკანდალის შემდეგ ოპოზიციამ მისი დიპლომი დააყენა ეჭვქვეშ. მერე ისიც თქვეს, კაი პურის გამოცხობა არ იცისო.

მორიგი სალაპარაკო ამ ზაფხულს გაუჩნდა ერს. ქობალია რაღაც მიზეზის გამო საავადმყოფში მოხვდა. ამას დიდი ამბები მოჰყვა. ნამკურნალევმა მინისტრმა მედიას ამხელა ყურადღების გამო უსაყვედურა. მას თურმე არ ეგონა, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ასეთ დაინტერესებას გამოიწვევდა.

რამდენიმე დღის წინ კი მასთან დაკავშირებით ახალი ჭორი გავრცელდა. მავანი და მავანი ამტკიცებს, რომ ვერა ქობალია შეიძლება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდეს.

# ვინ არის სადაზღვევო ბაზრის ლიდერი

**შორენა გონგლა ე**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, „ჯი პი აი ჰოლდინგი“ სადაზღვევო ბაზრის ლიდერია. ჯამში, კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ 33.577.360 ლარი შეადგინა, რაც 11 პროცენტით მეტია წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

„ამ შედეგის უკან, ცხადია, დგას თითოეული ჩვენი თანამშრომლის ძალისხმევა და მოტივაცია, რა თქმა უნდა, მენეჯმენტის მიერ სწორად შერჩეული სტრატეგიაა. ჯანმრთელობის დაზღვევა კვლავაც რჩება ჩვენს სტრატეგიულ მიმართულებად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამით სადაზღვევო პრემია დაახლოებით 30 პროცენტით შემცირდა, ეს არ ასახულა ჩვენს პორტფელზე, ვინაიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა კორპორაციული და ინდივიდუალური კლიენტების რაოდენობა. ამასთან, ზრდა გვაქვს ძირითადად რამდენიმე სხვა მიმართულებითაც — არასიცოცხლის სახეობებში. შესაბამისად, შემცირებულია სახელმწიფო პროგრამების წილი მთლიან პორტფელში — 33 პროცენტამდე, რაც უფრო დივერსიფიცირებულს ხდის ჩვენს პორტფელს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ყველაზე სტაბილური და საიმედო კომპანიაა საქართველოში მოქმედ სხვა სადაზღვევო კომპანიებს შორის. ასევე დაგეგმილი გვაქვს, ზრდის ტემპები წლის ბოლომდე შევინარჩუნოთ და ამისათვის შესაბამისი გეგმაც, რა თქმა უნდა, არსებობს. ჩვენი ფილიალების სახით ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ქსელი გვაქვს მთელ საქართველოში და ჩვენი მომხმარებლის რაოდენობაც დღითიდღე იზრდება. გვეამაყება, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს საქართველოში სადაზღვევო კულტურის სამოყალიბებაში“, — განაცხადა „ჯი პი აი ჰოლდინგის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი კვირიკაძემ.

შეგახსენებთ, რომ „ჯი პი აი ჰოლდინგი“ დაარსდა 2001 წელს, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში. კომპანიის პრიორიტეტია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარება. უკვე მერამდენე წელია, დაზღვევის ამ სახეობებში, კერძოდ, საპენსიო და ჯანმრთელობის დაზღვევაში „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. აღნიშნული კომპანია ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის — ვენის სადაზღვევო ჯგუფის შვილობილია.

# ვანო მერაბიშვილმა საკადრო წმენდა დაიწყო

ვანო მერაბიშვილმა საკადრო წმენდა დაიწყო. „პირველის“ ინფორმაციით, შსს-ში განხორციელებულ ახალ „კარუსელს“ თბილისის პოლიციის შეფის გია ხიზანიშვილის სავარძელიც შეეწირება. მას ამ თანამდებობაზე შს სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონის სამმართველოს უფროსი გოდერძი ნატროშვილი ჩაანაცვლებს, თავად ხიზანიშვილის ბედი კი ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

„პირველის“ ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და კახეთის რეგიონების სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების შეცვლის შემდეგ შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს შეფის პოსტი ვლადიმერ ჯუღელსაც დაატოვებინეს.

აღნიშნული ფაქტი „პირველს“ თავად ჯუღელმაც დაუდასტურა.

— შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი აღარ ვარ. ჩემს ნაცვლად, მანდ გიორგი როსტიაშვილი დაინიშნა, მე კი თბილისში, სოდში გადმომიყვანეს, მაგრამ ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დაკავებულთა გაცვლის ხაზით მუშაობას გავაგრძელებ, — განუცხადა „პირველს“ ჯუღელმა.

„პირველის“ ინფორმირებული წყაროს ცნობით, უკვე განხორციელებული საკადრო ცვლილებების გარდა, დაგეგმილია შს სამინისტროს ყველა სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელთა შეცვლა, რეგიონების შემდეგ კი ცვლილებები თბილისის შს მთავარ სამმართველოსა და რაიონულ სამმართველოებსაც შეეხებათ.

წყარო იმასაც გვიყვება, რომ კრიმინალური პოლიციის შეფ ერეკლე კოდუას სახელმწიფო დაცვის დასავლეთ საქართველოს სამსახურის უფროსად დანიშნავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კოდუა მერაბიშვილის უწყებას საბოლოოდ დატოვებს.

ამასთან, დაგეგმილია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის გოგა გრიგალაშვილის შს მინისტრის მოადგილედ გადაყვანა, მაგრამ ვინ ჩაანაცვლებს გრიგალშვილსა და კოდუას, ან მერაბიშვილის რომელ მოადგილეს შეცვლის თავად გრიგალაშვილი, ჯერ-ჯერობით არ კონკრეტდება.

ცნობისთვის, ვანო მერაბიშვილს ოთხი მოადგილე ჰყავს: პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე, მოადგილეები ამირან მესხელი, შალვა ჯანაშვილი და გიორგი ლორთქიფანიძე.

შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროში საკადრო ცვლილებები აქტიურ ფაზაში 26 მაისის მოვლენების შემდეგ გადავიდა. კერძოდ, აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით შს მინისტრის ბრძანებით, დისციპლინარული წესდების დარღვევის გამო სამინისტროს ოთხი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს, ერთი თანამშრომელი თანამდებობიდან ჩამოქვეითდა, სამს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ხოლო რვას საყვედური.

სწორედ იმ დღეს, 15 ივლისს, როდესაც შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა აღნიშნული ცვლილებების შესახებ განცხადება გააკეთა, პოლიციის ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს იმჟამინდელი შეფი ირაკლი აბაშიძე დაწინაურდა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის პოსტზე ალექსანდრე მაისურაძე შეცვალა, თავად მაისურაძის ბედი კი გაურკვეველია.

აღსანიშნავია, რომ აბაშიძის დაწინაურების შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმაც მხოლოდ 15 ივლისს შეიტყვეს, როდესაც აბაშიძე ყოფილ სამსახურში ახალი მანქანით მივიდა და თანამშრომლებს დაემშვიდობა.

ამას გურიისა და კახეთის სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების შეცვლაც მოჰყვა.

**პირველი**

# ნატახტარის გათამაშება დასრულდა

## გამარჯვებულები ახალზელანდიაში, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან

კომპანია „ნატახტარის“ ტრადიციული საზაფხულო გათამაშება - „აისრულე სურვილები ნატახტართან ერთად“ - დასრულდა და მთავარი პრიზის, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი 2 საგზურის მფლობელთა ვინაობაც უკვე ცნობილია. გამარჯვებულები, გიორგი შიუკაშვილი და ავთანდილ ბუკია ერთი კვირით გაემგზავრებიან ქალაქ პალმერსტონში, სადაც გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. საგზურში, თამაშზე დასასწრები ბილეთების გარდა, შედის მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე სპეციალური ტურები და ჯიბის ფული.

მნიშვნელოვანია, რომ „ნატახტარმა“, როგორც ქართული სპორტის და მათ შორის რაგბის გულშემატკივარმა კომპანიამ წლევანდელი გათამაშება ახალ ზელანდიაში გასამართ რაგბის მსოფლიო თასს დაუკავშირა. წლევანდელი „ნატახტარის“ წამახალისებელი გათამაშება 15 ივნისიდან დაიწყო და 15 სექტემბრამდე გაგრძელდა. გათამაშებაში იყო 1000 ლარი — ყოველდღიურად, 5000 ათასი — კვირაში ერთხელ და დიდი პრიზი — 20 ათასი ლარი. ყველას, ვინც შეიძენდა ნატახტარს, ქარვას, ექსტრასა და კასრის ნებისმიერი ზომის ბოთლს, შეეძლო ფასიანი პრიზები მოეგო. ლუდი კასრის მოყვარულ 2 ადამიანს კი მისცა შანსი განსაკუთრებული საჩუქრის — რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურის მფლობელიც გამხდარიყო. აღნიშნული ფულადი პროზების გარდა, გათამაშდა 100 ათასი ცალი 0,5 ლიტრის შუშის ბოთლის ნატახტარი.

# მგზავრობა კიდევ გაძვირდება

## რატომ ჯდება ახალი „მარშრუტკების“ შენახვა ძვირი

შორენა გონგლა ე

მიკროავტობუსებზე მგზავრობის ფასის მომატება დღემდე აქტუალურ თემად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ტარიფის ზრდა საზოგადოების მხრიდან არაერთხელ და საკმაოდ მწვავედაც გაპროტესტდა, თუმცა შედეგი, ტრადიციულად — არაფერი. ქალაქის მერიაში არაერთი შეხვედრისა და უშედეგო წერა-კითხვის შემდეგ სიტუაციაში გარკვევა პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლაღიძემ პრეზიდენტსაც სთხოვა, წერილი კი ესტაფეტის პრინციპით შპს „თბილისის მიკროავტობუსს“ გადაეცა და პასუხმაც ორთვიანი დაგვიანების შემდეგ მზის სინათლე იხილა.

უფრო კონკრეტულად კი თბილისის მიკროავტობუსის დირექტორი ჯაბიშვილი თავის უსტარში აღნიშნავს, რომ მიკროავტობუსებზე მგზავრობის ღირებულება მხოლოდ ერთი მიზეზის გამო გაიზარდა. ეს არის საწვავზე ფასის ზრდა. ეს სასაცილო და დილეტანტური არგუმენტი, რა თქმა უნდა, ერთ გემრიელ გადახარხარებადაც არ ღირს, რადგანაც საწვავზე ფასები, ფაქტობრივად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წავიდა მაღლა, სწორედ მას შემდეგ, რაც მადაგახსნილმა ახალგამომცხვარმა ჩინოვნიკებმა ნავთობკომპანიების შემოსავლებს გემო გაუსინჯეს, ჯაბიშვილს კი რატომღაც ახლა გამოელვიძა. აი, რას ამბობს ჯაბიშვილი თავის წერილში:

— ახალ მიკროავტობუსებზე ფასების მომატება დაკავშირებულია მხოლოდ საწვავის ფასებთან, თუმცა მგზავრობის ტარიფი უცვლელი იყო ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში საწვავის ფასი 300 პროცენტით გაიზარდა, შედეგად სამარშრუტო მიკროავტობუსების შემოსავალი იმდენად შემცირდა, რომ ამ მანქანების ტექნიკურად გამართულობაზე მინიმალური თანხები იხარჯებოდა. მიკროავტობუსების პარკი სრულიად ამორტიზირდა, ხოლო დღეისათვის არსებული სავალალო მდგომარეობა საშიშროებას უქმნის არა მარტო მიკროავტობუსების მძღოლებსა და მგზავრებს, არამედ ქალაქის ქუჩებში მოძრაობის სხვა მონაწილეებსაც. ამასთან ერთად, ეს სფერო სრულიად იყო ამოვარდნილი ეკონომიკური კანონმდებლობის ჩარჩოებიდან. მიკროავტობუსებში მოძრავი თანხები არსად აღირიცხებოდა და, შესაბამისად, არ იბეგრებოდა. ყოველგვარი კონტროლის გარეშე დარჩენილი მძღოლები მინიმალური ხარჯებით ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მანქანები მუშა მდგომარეობაში და, ფაქტობრივად, ამორტიზებულ მიკროავტობუსებს იყენებდნენ მგზავრთა გადასაყვანად. შესაბამისად, არც არავითარი საამორტიზაციო თანხების აკუმულირება არ ხდებოდა, — ნათქვამია წერილში.

და ჯაბიშვილის კიდევ ერთი სიზმარი — თურმე ძველი, დროინდელი მიკროავტობუსების შენახვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ორი თვის წინ ქარხნიდან გამოყვანილი მიკროავტობუსის და კიდევ ერთი, ჯაბიშვილისეული კალკულაციით, თურმე მგზავრობის ფასი, 80 თეთრი, მინიმალური ყოფილა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოარული ჭორები მგზავრობის კიდევ ერთხელ გაძვირებაზე სულაც არ არის საფუძველს მოკლებული.

— ტენდერში ჩვენს ფირმაში გაერთიანებული ოთხი კომპანიის გამარჯვების პირობების მიხედვით ჩვენ ვალდებულება ავიღეთ, ჯამურად შემოვიყვანოთ 3078 ცალი 2011 წლის გამოშვება, კონდიციონერიანი, 16-ადგილიანი მიკროავტობუსები. მათ ექსპლუატაციასა და მოვლას



გიორგი ლაღიძე

გაცილებით მეტი დანახარჯი სჭირდება, ვიდრე ამორტიზებულ, ძველ მანქანებს. ამასთან, თითოეულ მანქანას, რომლის ღირებულება 30 000 დოლარს აღემატება, ერიცხება საამორტიზაციო ანარიცხები, რათა მანქანების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მოხერხდეს მისი ჩანაცვლება ახალი ავტომობილით. რაც მთავარია, სრულიად ლეგალური ხდება შემოსავლები ამ სისტემაში, რაც გამოიწვევს მოძრავი თანხების სრულ აღრიცხვას და კანონმდებლობის მიხედვით დაბეგვრას. ტარიფის განსაზღვრის პრეროგატივა თბილისის მთავრობის 2010 წლის 2 ნოემბრის №31,02,1434 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკუთვნის ნებართვის მფლობელ კომპანიას. ჩვენმა კომპანიამ ამ ტარიფის კალკულაციის დროს გაითვალისწინა ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრება და მგზავრობის ის მინიმალური ღირებულება დაადგინა, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება, თბილისის მგზავრებს კომფორტული, უსაფრთხო და ლეგალური დაბეგვრის სივრცეში მოქცეული ტრანსპორტი შევთავაზოთ.

პარტიის ლიდერი გიორგი ლაღიძე ამბობს, რომ მომავალი წლიდან მგზავრობის ტარიფი ერთ ლარამდე გაიზრდება, თუმცა ეს ოფიციალურად ჯერჯერობით არ დასტურდება.

— ხელისუფლებამ მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა თბილისის მიკროავტობუსს და მანაც თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით შეეცადნენ თავის მართლებას. როგორც ისინი ამბობენ, ახალ მიკროავტობუსებს სარემონტო სამუშაოებისთვის გაცილებით მეტი თანხები სჭირდება, ვიდრე ძველს. საინტერესოა, როდესაც ამბობენ, რომ წლების მანძილზე ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედიოდა, საакაშვილმა ამის შესახებ არ იცოდა? ეს არის თავის მართლება, რომ რამენაირად გაამართლონ ხალხის ძარცვა. ჩვენ გვაქვს დადასტურებული ინფორმაცია, რომ ახალ წლამდე კიდევ გაიზრდება მგზავრობის ფასი. სამწუხაროდ, ხელისუფლება არანაირ კონტროლს არ ახორციელებს, ვინაიდან მათ ინტერესში შედის ეს ყველაფერი და გამოსავალს მხოლოდ ერთ რამეში ვხედავ, ეს არის უმწვავესი სოციალური პრობლემა და საჭიროა საზოგადოების აქტიურობა. თუ საზოგადოება იქნება აქტიური, ერთხელ და სამუდამოდ შეაჩერებს სააკაშვილის ამ აღვირახსნილ ქმედებას, სხვა შემთხვევაში ხელისუფლება იმოქმედებს შეგუების პრინციპით და უფრო მეტ დანაშაულს ჩაიდენენ საზოგადოების წინაშე. ამიტომ საჭიროა საზოგადოების გამოფხიზლება და ეს ხელისუფლება მხოლოდ ამ შემთხვევაში გაუწევს ხალხის პროტესტს ანგარიშს, — აცხადებს გიორგი ლაღიძე.

# ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე უნდა დაბრუნდეს

**რუსეთის ფედერაციაში ქართული პროდუქციის გატანასთან დაკავშირებით კახა კუკავამ ექსპერტებთან შეხვედრა გამართა.**

**კუკავას განცხადებით, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს პროცესი დაწყებულიყო.**

**კუკავა აცხადებს, რომ ის მზად არის, ხელი არ შეუშალოს ამ პროცესს, თავისი პარტიული ინიციატივა სახელისუფლებო ინიციატივად გამოაცხადოს, უფრო სწორად კი — დაუთმოს.**

**კახა კუკავამ დახურულ კარს მიღმა ექსპერტებისგან მოისმინა, რამდენად მისაღები ნაბიჯია და როგორ შეიძლება პროცესები ამ მიმართულებით განვითარდეს.**

**„ახალი თაობა“ ეკონომიკის ექსპერტების მოსაზრებებს გთავაზობთ.**

ნათია ხურცილავა

**თემურ გიორხელიძე,** ეკონომიკის ექსპერტი:

— როდესაც ორ სახელმწიფოს შორის ასეთი რთული პოლიტიკური და დაძაბული ურთიერთობაა, დიპლომატიური ურთიერთობაც კი გაწყვეტილია, შეიძლება, არასახელისუფლებო ინიციატივა საუკეთესო გამოსავალი იყოს პირველი რაციონალური ნაბიჯების გადასადგმელად. რუსეთის მხრიდან დიდი უბედურება დაგვატყდა, ერთი მხრივ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისტორიულ პერსპექტივაში რუსეთის მტრად მოკიდებას არ ვაპირებთ. არც ერთ გონიერ ადამიანს საქართველოში არ შეიძლება ასეთი სურვილი გააჩნდეს. ამდენად, ბუნებრივია ნებისმიერი ნაბიჯი, მით უმეტეს ისეთ არსებით სფეროში, როგორიც არის ეკონომიკური ურთიერთობები, რაიმე ტიპის ძვრის განხორციელება მისასალმებელია. მეორე მხრივ, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებითაც ეს სასარგებლოა ორივე მხარისთვის, რადგან ადამიანები და სახელმწიფოები ერთმანეთთან რაღაც სარგებლობის მიღების კუთხითაც ურთიერთობენ. ამიტომ იმ ბაზარზე დაბრუნება, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ მოცულობით ბაზრად ითვლება, თავისთავად ძალიან კარგი იქნება. ალტერნატივების ძებნა აუცილებელია. ეს ცხოვრებამ მოიტანა, მაგრამ სრული ჩანაცვლება ტრადიციული ბაზრებისა ძალიან დიდ დროს მოითხოვს და უზარმაზარ მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამას სჭირდება ძალიან დიდი დრო, ასევე მენტალური პრობლემაც არსებობს, ადამიანები საუკუნეების მანძილზე მიჩვეული არიან სხვა პროდუქტებს. ამას სჭირდება მარკეტინგი, მთელი სარეკლამო ბაზრის ათვისება, უზარმაზარი ფინანსური დანახარჯები. უარის თქმა ნებისმიერ მოცულობით ბაზარზე, რომელმაც შეიძლება საქართველოს მოქალაქეს, ბიზნეს-ჯგუფსა თუ ნებისმიერ ადამიანს თუ სახელმწიფოს მოუტანოს სარგებლობა, ამ შემთხვევაში უარის თქმა, რასაკვირველია, გაუმართლებელი იქნება.

**სოსო ცისკარიშვილი,** ეკონომიკის ექსპერტი:



— ნებისმიერი ქვეყნისთვის საკუთარი პროდუქციის საექსპორტო ბაზრის ზრდა არის მხოლოდ სიკეთის ნიშანი. განსაკუთრებული ურთიერთობები, რომლებიც ჩამოყალიბდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის, ბევრი ასეთი ნაბიჯის შემაფერხებელია. ჩნდება შესაძლებლობა, რომ გამოძებნილ იქნეს რაღაც წერტილი სწორედ იმისთვის, რომ აღარ გვქონდეს მიზეზი ხუთწლიანი საჯარო დარდისა, რომ ჩვენს პროდუქციას რუსეთი არ იღებს და ამიტომ ვზარალდებით, რასაკვირველია, უნდა გამოვიყენოთ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობა, რომელიც წარმოიშვება თუნდაც კონფლიქტის არსებობის პირობებში, იმისთვის, რომ ჩვენი ეკონომიკა უფრო უკეთესად იყოს წარმოდგენილი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, მით უმეტეს, ასეთი ტრადიციები მას ათეული წლების მანძილზე გააჩნდა. რისკები არსებობს მხოლოდ პოლიტიკური, ეკონომიკურ რისკს აქ მე ვერ ვხედავ, ვერც ბიზნეს რისკს, მაგრამ, ჩემი აზრით, დროა, რომ საქმეში ჩაერთონ მეწარმეები, იმპორტიორები, ექსპორტიორები და მადლობა ვუთხრათ ყველა პოლიტიკასა თუ სანიტარს, ვინც რაიმე წვლილი შეიტანა ამ საქმეში. რადგან კომუნიკაცია არსებობს, საჭიროა მათი პროფესიული ნიშნით დატვირთვა. მეწარმე უნდა იყოს დაკავშირებული დისტრიბუტორთან, პოლიტიკოსებმა თავი შეიკავონ კომენტარებისგან, ხოლო ბიზნეს-ომბუდსმენმა ცოტა უფრო სერიოზული განცხადებები უნდა გააკეთოს ამ საკითხთან დაკავშირებით. მან უნდა დაარწმუნოს ბიზნესიც და საზოგადოებაც, რომ ის აკონტროლებს სიტუაციას და მხარს დაუჭერს ნებისმიერ ბიზნესს. გასაგებია ჩემთვის, როდესაც ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი წერს, რომ რუსეთის ბაზარი საფრთხეს წარმოადგენს ქართული პროდუქციისთვის, მაგრამ, როდესაც ამ განცხადებას გაიმეორებს პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე, აქ უკვე შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ვეცადოთ, პოლიტიკისაგან გავათავისუფლოთ ეკონომიკა. ბიზნესი დავიცვათ პოლიტიკოსების კლანჭებისგან. ამას ვერ ახერხებს ვერც რუსეთი და ვერც საქართველო ჯერჯერობთი, მაგრამ იქნებ ასეთი მაგალითი გახდეს წინაპირობა იმისა, რომ შეიძლება ბიზნესმა იურთიერთოს ყოველგვარი პარტიის რაიკომების ნებართვის გარეშე.

**რამაზ საყვარელიძე,** პოლიტიკური ექსპერტი:

— ნუ გვაგვიკვირდება, რომ ერთი პარტია, რომელიც ამ საქმეს აკეთებს, სხვა პარტიებს ეს შეშურდეთ. რომელი ფერის შური იქნება, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მათ შორის, მმართველ პარტიასაც. მე მგონი, გამოსავალი ისევ და ისევ ევროპული უნდა ვისწავლოთ. როდესაც გინდა, რომ საქმეში იყო ჩართული, კი არ უნდა ააფეთქო ის საქმე, არამედ უნდა შეუერთდე, შეიძლება, დაეხმარო კიდეც. მათ შორის ნაციონალური მოძრაობა იქნება თუ სხვა პარტია, თუ ამ პროცესს დაეხმარებიან, ეს მათ რეიტინგსაც გამოადგება. თუ ხელს შეუშლიან, მათ რეიტინგზეც აისახება. ამ პროცესში თუ შემოვა სულისკვეთება, რომ კარგი პროცესი იწყება, სადაც შეიძლება ყველამ თავისი წილი აგური დადოს, ეს კარგი იქნება. რაც შეეხება პოლიტიკურ რისკებს, გააჩნია, რომელი სტრატეგია იქნება არჩეული.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს უკავშირდება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილს?***

— შეიძლება, არის ეს ვერსია, რომ რუსეთი უფრო რბილი იმიტომ



გახდა, რომ მისი გაწევრიანების საკითხი უფრო ადვილად გადაწყდეს, მაგრამ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ რომ არა ეს ფაქტორი, თვითონ რუსეთისთვის ტვირთად დაკიდებული ეს პროცესი, რაღაცას იზამდა. კერძოდ, რუსეთი რომ გაწევრიანებულიყო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მას მოუწევდა იმავეს გაკეთება, მაგრამ ევროპის ზეწოლის შედეგად. ხელისუფლებაც ამას ელოდა. ამიტომ არის, რომ ხელისუფლება დღეს მხარს არ უჭერს ამას. მას უნდა, რომ სწორედ იმ პროცესს მიაბას. თუმცა, ამაში არის რაღაც საკითხები, რაც შეიძლება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არეალს გასცდეს. მაგალითად, რუსეთმა ჩვენი კონკრეტული პროდუქტი დაიწუნა. ეს არ არის ოფიციალური ემბარგო. ამიტომ შეიძლება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ რუსეთზე ზეწოლა ვერ განახორციელოს. ამდენად, ეს პროცესი მისასალმებელია.

**ირაკლი სესიაშვილი,** სამხედრო ექსპერტი:

— მთავარია, რომ ხელისუფ-



ლებამ ხელი არ შეუშალოს ამ პროცესს. ქართულ-რუსული სავაჭრო ურთიერთობა, სამწუხაროდ, პოლიტიზირებულია. ჩვენ, სამწუხაროდ, წამგებიან პოზიციაში ვიმყოფებით. ამას ფაქტები მეტყველებს. რუსეთს საქართველოში აქვს სახელმწიფო ბიზნესი ენერგო სისტემის მიმართულებით და საკმაოდ დიდი ფული ჩვენი მოსახლეობისგან. ჩვენ, იმის გამო, რომ ხელისუფლება ამ პროცესს უყურებს პოლიტიკური კუთხით და რუსულ-ქართულ ურთიერთობას მისი მონაწილეობის გარეშე ბლოკავს, რუსეთისგან სარგებლობას ვერ ვიღებთ, მაშინ როდესაც რუსეთი ჩვენთვის საკმაოდ საინტერესო ბაზარია. ასევე ისიც გასაგებია, რომ რუსეთი ოკუპანტია, ასვეე მესმის, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობა ასე ადვილად არ მოგვარდება, მაგრამ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად და გარკვეულწილად სარგებლობაც უნდა ვნახოთ ამ პროცესიდან. ამიტომ მთავარია, ხელისუფლებამ ამ პროცესს ხელი არ შეუშალოს. არ ვითხოვთ, რომ ხელი შეუწყოს. დანარჩენი ბიზნესმენებზე იქნება დამოკიდებული. სადაც ფული ტრიალებს, იქ ბიზნესმენები საერთო ენას გამონახავენ. ეს პროცესი შეიძლება წინაპირობა იყოს იმისა, რომ სხვა მიმართულებითაც დაიწყოს თანამშრომლობა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთის ერთგული მეგობარი გავხდებით და ეს ყველაფერი დაგვავიწყდება, მაგრამ სახელმწიფომ სარგებლობა უნდა ნახოს. ბევრი მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ, მაგალითად, ისრაელისა და პალესტინის. მიუხედავად იმისა, რომ პალესტინასა და ისრაელს აქვთ დაპირისპირება, პალესტინა ცდილობს, ისრაელთან სავაჭრო ურთიერობა ჰქონდეს. ნებისმიერ პალესტინელს რომ ჰკითხოთ, დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში რა ურთიერთობა ექნებათ ისრაელთან, გეტყვით, რომ სავაჭრო ურთიერთობას დაამყარებს. თუ ეს ფული ჩვენს სახელმწიფოში შემოვა, ეს გაგვაძლიერებს, თუნდაც თავდაცვის მიმართულებით. არ მესმის, ამას ხელი რატომ უნდა შევუშალოთ?! ხელისუფლების რიტორიკაში ჩანს, რომ ხელისუფლებას არ უნდა, მხარი დაუჭიროს ამ პროცესს, რადგან ის არ მონაწილეობს და ამით შეიძლება ვიღაცამ პოლიტიკური ქულა მიიწეროს, მაგრამ ეს ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, არის სახელმწიფოს, ბიზნესის გადარჩენის გზა.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს უკავშირდება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილს?***

— დიახ. რუსეთი შეიძლება საქართველოსთან ორმაგი მოლაპარაკების გზით მოქმედებს. საქართველოს ხელისუფლებას ალბათ სთავაზობს, რომ ჩვენ დავუშვებთ, ქართული პროდუქცია შევიდეს რუსეთში და ხმა მოგვეცით. თუ ასეა, მაშინ ოპოზიციურ ძალასთან რატომ აწარმოებს მოლაპარაკებას, ცოტა გაუგებარია. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ რუსეთმა ამ შეთავაზებაზე ხელისუფლებისგან უარი მიიღო, მაშინ ერთგვარად ზურგში ხანჯლის ჩარტყმის სცენარის გათამაშება ხდება. ჩვენ ოპოზიციური ძალებს გავაპიარებთ, მათი დახმარებით გარკვეული პროდუქციის შეტანაზე დავთანხმდებით, რაც ხელისუფლებას წამგებიან პოზიციაში ჩააყენებს, მათი აზრით. ეს პროცესი პოლიტიზირებულია, მაგრამ, თუ 60 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“ გავიდა რუსეთში, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში სერიოზული თანხა შემოვა. ეს კუკავას დამსახურებად გაფორმდება თუ ხელისუფლების მარცხად, ამას სხვა პროცესი დაგვანახვებს.

# ბათუმში არაჩვეულებრივი გამოფენა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ბათუმში მდებარე სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ არაჩვეულებრივი გამოფენა გაიხსნა, სადაც ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა ნამუშევრები გამოიფინა. გამოფენის გახსნამდე გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმა — იზოლაციიდან რეინტეგრაციამდე“. მასში მონაწილეობდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროექტის ორგანიზატორები იყვნენ კავშირი „თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისათვის“, გლობალური ინიციტივა ფსიქიატრიაში, „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ (ბათუმის ფილიალი), ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ასოციაცია „არტ-რითმია“, აჭარის რესპუბლიკური ფსიქო-ნევროლოგიური საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილება. პროექტს აფინანსებდა ევროკავშირი და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე რეფორმას, რომლის მიზანია ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებისათვის ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ნანა ზავრადაშვილმა განაცხადა, საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ხშირად მათი ხვედრია სიღარიბე, მარტოობა, საზოგადოებისაგან გარიყულობა. მისი თქმით, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას და შეამცირებს მათ იზოლაციას.

მრგვალი მაგიდის დასრულების შემდეგ კი სასტუმროს ფოიეში გაიმართა გამოფენა სახელწოდებით „არაჩვეულებრივი გამოფენა“, სადაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების ნამუშევრები გამოიფინა. მსგავსი სახის გამოფენის ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა და ბათუმში მეხუთედ ეწყობა.

— საზოგადოების ვალია, მხარი დაუჭიროს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა ღირსეულ ცხოვრებას და მსგავსი აქციებით გამოხატოს მხარდაჭერა, — აღნიშნავს ნანა ზავრადაშვილი.

მსოფლიოში დაახლოებით 450 მილიონ ადამიანს აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, რის გამოც ფსიქიკური დაავადებები ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა რიცხვში შედის. დღეს ცნობილია, რომ ადეკვატური მკურნალობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის შემთხვევაში ამ ადამიანებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არტთერაპიის ნამუშევართა გამოფენამ დამთვალიერებელში დიდი ინტერესი გამოიწვია, მრგვალი მაგიდა კი მიზნად ისახავდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

# რობერტ სტურუა „ეტ სეტერას“ კონტრაქტს გაუფორმებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რასთან“. ამ თეატრში რობერტ სტურუა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე სამუშაოდ თეატრის ხელმძღვანელმა ალექსანდრ კალიაგინმა მიიწვია.

— მე ზუსტად არ ვიცი, თუ რა ერქმევა ჩემს თანამდებობას, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ იგი იქნება გამყარებული საშტატო განრიგით და მე რეგულარული ხელფასი მექნება, — ამბობს რეჟისორი.

რობერტ სტურუა კიდევ ერთხელ უბრუნდება საქართველოში მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს და რუსულ პრესას კიდევ ერთხელ განუმარტავს:

— თავდაპირველად მე მათავისუფლებენ თეატრიდან, ახლა კი მთავაზობენ, დავდგა ორი სპექტაკლი და ამისათვის დიდი ფულის გადახდას მპირდებიან, მაგრამ რა, მე უკვე აღარ ვარ ქსენოფობი? მე არ ვარ გმირი, მე ადამიანი ვარ, თავისუფალი ადამიანი და ამიტომაც პატივი უნდა ვცე საკუთარ თავს და არ გადავდგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ჩემს სინდისს ეწინააღმდეგება.

რობერტ სტურუამ გადაწყვიტა, ბოლომდე მართალი ყოფილიყო საკუთარ სინდისთან, სწორედ ამიტომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ კულტურის მინისტრისადმი მიწერილი თავისივე წერილი გამოაქვეყნა, სადაც თეატრის ამჟამინდელი მმართველის, მსახიობ ზაალ ჩიქობავას თანამდებობიდან მოხსნას ითხოვს და, თავის მხრივ, სამხატვრო ხელმძღვანელისა და თეატრის მმართველის პოსტების ღირსეულად შეთავსების პირობასაც იძლევა.

ვრცელდება ინფორმაციაც, თითქოს რობერტ სტურუა „ეტ სეტერას“ თეატრში მარტო არ მიდის და იგი რუსეთში რუსთაველის თეატრის რამდენიმე მსახიობის გადაყვანას გეგმავს.

— ამის შესახებ უკვე ველაპარაკე ალექსანდრ კალიაგინს და ის ამის მომხრეა, — აცხადებს რეჟისორი, თუმცა არ აკონკრეტებს, რუსთაველის თეატრის რომელ მსახიობებს გაიყოლებს თან ქართველი რეჟისორი. რუსთაველის თეატრის დასი კი კვლავაც რეჟისორის ერთგული რჩება და ერთხმად აცხადებს, რომ რობერტ სტურუას ადგილზე ვერავინ მოვა.

რუსეთში გამგზავრებამდე რეჟისორი თბილისელ მაყურებელთან შესახვედრად ემზადება — 23, 24 და 29 სექტემბერს რუსთაველის თეატრში მისი მიერ დადგმული ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, როგორც თავად ამბობს, მეტად უჩვეულო და ორიგინალური „ნადირობის სეზონი“ გათამაშდება.

# „შემოდგომის თბილისი“ დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ უკვე მეცხრამეტედ გაიხსნა. წლევანდელი საფესტივალო პროგრამა, წინა წლების მსგავსად საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. მასში გაერთიანებულია როგორც კლასიკური ნაწარმოებები, ასევე ჯაზი და ფოლკლორული კოლექტივების შემოქმედებაც. ფესტივალი გასულ წელს 7-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ჯანსუღ კახიძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დაბრუნდა და სრულიად განახლებულ შენობაში კლასიკის მოყვარულ მსმენელს უმასპინძლა. გასულ წელს გამართული ფესტივალი მისი დამაარსებლის, მაესტრო ჯანსუღ კახიძის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა და წარმოდგენილ იქნა სპეციალური ფილმი, რომელიც ჯანსუღ კახიძის ფენომენს მიეძღვნა.

ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ პირველად 1993 წელს ჩატარდა თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრისა და თბილისის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ინიციატივით. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ რამდენიმე დღეში 13 აპრილს ჯანსუღ კახიძემ ამ ცენტრში პირველი სამგლოვიარო კონცერტი ჩაატარა. მაესტროს გარდაცვალების შემდეგ ამ ფესტივალს სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი, კომპოზიტორი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე. ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ დაფუძნდა ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრისა და ქალაქ თბილისის მერიის მიერ. ფესტივალმა მოიპოვა დიდი პოპულარობა და გადაიქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუსიკალურ ღონისძიებად საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. უკვე ხუთი წელია ფესტივალი ტარდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით.

— ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ჩვენი დედაქალაქის საკონცერტო ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენაა. ტრადიციულად, პროგრამა მოიცავს როგორც კლასიკური მუსიკის, ასევე ფოლკლორისა და ჯაზის კონცერტებს, თანამედროვე დასავლეთევროპულ და ქართული მუსიკის მნიშვნელოვან ნიმუშებს, — აცხადებს კულტურის მინისტრი.

წლევანდელი ფესტივალის ეგიდით დაგეგმილია 10 კონცერტის ჩატარება, რომლებსაც სიმფონიური და კამერული ორკესტრები და მოწვეული დირიჟორები წარმოადგენენ. წელს ფესტივალში, საქართველოს წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ხელოვანები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან. ფესტივალის განმავლობაში დაგეგმილია რამდენიმე ნაწარმოების მსოფლიო პრემიერაც.

საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი-2011“ კლასიკური მუსიკის კონცერტით გაიხსნა. მსმენელის წინაშე წარდგნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი — ტან ლი ჰუა (ჩინეთი) და სოლისტი — თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო, საქართველო). საკონცერტო პროგრამა მოიცავდა კე ჯი ფანგის „ტიბეტურ ცეკვას“, პროკოფიევის კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის და სიბელიუსის პირველ სიმფონიას.

24 სექტემბერს ფესტივალის ფარგლებში დაუკრავს თბილისის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი — ვახტანგ კახიძე (საქართველო) სოლისტი — გიორგი მიქაძე (ფორტეპიანო, საქართველო). პროგრამაშია გერშვი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- 3-ოთახიანი ბინა ტელავში, ალაზნის გამზირზე, ავტოფარეხის ადგილით. ტელ. 598-23-79-68.
- 1-ოთახიანი ბინა, ხრუშჩოვკა, ურემონტო, 4-სართულიანის მე-2 სართულზე, ქ. ფოთი, რკინიგზის სადგურის წინ. ტ. 593-68-41-59 790-56-19-20.
- იყიდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ხუდადოვის 4-ში. ნაძალადევის რაიონი, მე-2 სართულზე, აბაზანა-ტუალეტი, პარკეტი, აივანი, გაზი, წყალი, დენი მუდმივად. დარჩენილია სამღებრო სამუშაო. ფასი: 23.000 ტ. 599-10-96-46. ზურა.

### ვიყიდი

- 2 ან 1.5-ოთახიან სუფთა ბინას ისანი-მოსკოვის გამზირი. 300 არაგველი.სამგორი. მე-8 პოლკი. 24.000§-ის ფარგლებში.
- ბინას კონიაკის დასახლებაში. 593-14-18-39.

### გთავაზობთ

- სამღებრო სამუშაო. ფასი: 23.000. ტ. 599-10-96-46. ზურა.

## განცხადებები

- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა (მწვავე და ქრონიკული, გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი), ორგანიზმის წმენდა ტოქსინებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი სალომე.
- ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

# სტარკოვსის მიზანი საქართველოს გასწრებაა

ლატვიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრს სტარკოვსმა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გასამართი ბოლო ორი შეხვედრის წინ (7 ოქტომბერს რიგაში მალტასთან და 11 ოქტომბერს რიეკაში ხორვატიასთან) შეკრებაზე მიწვეულ მოთამაშეთა სია გამოაქვეყნა.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ინფორმაციით, სტარკოვსმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე გააკეთა:

**მეკარეები:** ანდრის ვანინსი (სიონი, შვეიცარია), პაველს დოროშევსი (გაბალა, აზერბაიჯანი), გერმანს მალინში (სკონტო).

**მცველები:** ოსკარს კლიავა (ხიმკი, რუსეთი), დენის ივანოვსი (ბაკი, აზერბაიჯანი), კასპარს გორკშსი (რედინგი, ინგლისი), რიტუს კრიაუკლისი, პაველს მიხადიუკსი (ორივე მეტალურგსი), რიტვარს რუგინსი (ვენტსპილსი).

**ნახევარმცველები:** ალექსანდრს ფერტოვსი, ოლეგს ლაიზანსი (ორივე სკონტო), ალექსანდრს ცაუნია (ცსკა, რუსეთი), ალეკსეის ვიშნიაკოვსი (კრაკოვია, პოლონეთი), ივანს ლუკიანოვსი (ლეხია, გდანსკი, პოლონეთი), ანდრეის რუბინსი (სიმურგი, აზერბაიჯანი), არტის ლაზდინში (იელგავა).

**თავდამსხმელები:** მარის ვერპაკოვსკისი (ბაკი, აზერბაიჯანი), არტიომს რუდნევსი (ლეხი, პოზნანი, პოლონეთი), ედგარს გაურაჩსი (ენისეი, რუსეთი), ანდრეის პერეპლიოტკინსი (ნასაფი, უზბეკეთი).

შეგახსენებთ, რომ ლატვიის ნაკრებს სექტემბრის დასაწყისამდე მხოლოდ ოთხი ქულა ჰქონდა და ჯერ თბილისში საქართველოს ნაკრებთან მოგების (1:0), ხოლო შემდეგ სახლში საბერძნეთთან ფრედ (1:1) ნათამაშევი მატჩების შემდეგ 8 ქულა დააგროვა. ამჟამად ლატვიელები ჯგუფში მეხუთე ადგილზე არიან და მომავალ ორ მატჩში სამი ქულა თუ აიღეს, ხოლო საქართველომ 11 ოქტომბერს სახლში ბერძნებთან წააგო ან ფრე ითამაშა, მაშინ ბალტიისპირელები მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებენ. ევროშესარჩევში ურთიერთშეხვედრების უკეთეს მაჩვენებელს ითვალისწინებენ, რომელიც საქართველოს ლატვიასთან უარყოფითი აქვს.

# რევიშვილი თასიდან გავარდნას საექვოდ მიიჩნევს

მახაჩყალის „ანჟიმ" რუსეთის თასის მერვედფინალში მოსკოვის „დინამოსთან" დამატებით დროში 0:1 წააგო. გაშვებული გოლის შემდეგ აფეთქდა მახაჭყალური გუნდისა საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი, რომელმაც მსაჯს თითქმის ცენტრამდე სდია, მაგრამ არბიტრმა გოლი აღარ გადათქვა.

დაღესტნური გუნდის ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვილი ამ შეხვედრაზე საუბრობს — და გოლზე, რომელიც მართლაც ძალიან საეჭვო იყო...

— დამატებით დროში წაგება განსაკუთრებით საწყენია, მით უმეტეს თასის მოგება გვქონდა მიზნად დასახული. თუმცა, ვერაფერს ვიზამთ, ახლა სწრაფად უნდა დავივიწყოთ „დინამოსთან" მარცხი და „ტერეკთან" პრემიერლიგის თამაშისთვის უნდა მოვემზადოთ.

***— 120-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ძალები შეგრჩათ?***

— საამისოდ მზად ვიყავით. პენალტების სერიასაც ვვარაუდობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, მანამდე ვერ მივედით. ვფიქრობ, ფიზიკური მომზადების მხრივ კარგად გამოვიყურებოდით და პრობლემა არც ახლა შეგვექმნება. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, „ანჟიში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია და არც ამ მხრივ ვუჩივით რამეს.

***— თქვენმა მცველებმა „დინამოსთან" დამშვიდების საშუალება არ მოგცეს. ბევრი იმუშავეთ. ამის გამო გასახდელში ხომ არ გაუბრაზდით მათ?***

— არა. ჩემი აზრით, მცველებმა ნორმალურ დონეზე ითამაშეს. არ დაგვავიწყდეს, რომ მოსკოვის „დინამოს" რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შემტევი ხაზი ჰყავს.

***— გოლი წესების სრული დაცვით გავიდა?***

— მომეჩვენა, რომ კოკორინმა ხელით გამიტანა, ხოლო ჩემს თანაგუნდელ აგალაროვს მაისურზე ქაჩავდნენ. მატჩის შემდეგ მითხრეს, რომ თამაშგარეც ყოფილა...

# ჟოზე მოურინიო მადრიდელმა გულშემატკივრებმა აითვალწუნეს



ესპანურმა გამოცემამ თავის მკითხველებში გამოკითხვა ჩაატარა, რათა ეროვნულ პირველობაზე მადრიდის „რეალის" ბოლო ორ წარუმატებელ თამაშთან დაკავშირებით მათი პოზიცია დაედგინა. შეგახსენებთ, რომ მეოთხე და მეხუთე ტურის გასვლით მატჩებში მოურინიოს გუნდმა „ლივანტესთან" (0:1) წააგო, სანტანდერის „რასინგთან" (0:0) კი ფრეს გამორჩა.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მკითხველთა 69% გუნდის წარუმატებლობაში მთავარ დამნაშავედ ჟოზე მოურინიოს მიიჩნევს. გამოკითხვაში 75.000 გულშემატკივარი მონაწილეობდა.

ცხადია, გუნდის თამაშით უკმაყოფილოა თავად მოურინიოც.

— ბოლო ორ შეხვედრაში ხუთი ქულა დავკარგეთ. ცხადია, უკმაყოფილო ვარ. არსებული სიტუაცია აუცილებლად უნდა შევცვალოთ, რასაც შაბათს ვიზამთ. ბოლო სამ მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოვახერხეთ. ეს არანორმალურია, — განაცხადა მოურინიომ.

# შედეგები

**ინგლისი. თასი**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ლივერპული | 1:2 |
| კარდიფი-ლეტერი | 2:2(7:6პ) |
| სიტი-ბირმინგემი | 2:0 |
| საუთჰემპტონი-პრესტონი | 2:1 |
| ჩელსი-ფულემი | 0:0(4:3პ) |
| ევერტონი-ვესტ ბორმვიჩი | 2:1(დდ) |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-სპორტინგი | 4:0 |
| მალაგა-ბილბაო | 1:0 |
| რაიო-ლევანტე | 1:2 |
| რასინგი-რეალი | 0:0 |
| ვალენსია-ბარსელონა | 2:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ჯენოა-კატანია | 3:0 |
| კიევო-ნაპოლი | 1:0 |
| ლეჩე-ატალანტა | 1:2 |
| პალერმო-კალიარი | 3:2 |
| ფიორენტინა-პარმა | 3:0 |
| ჩეზენა-ლაციო | 1:2 |
| იუვენტუსი-ბოლონია | 1:1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| აიაჩო-მონპელიე | 1:3 |
| დიჟონი-ბრესტი | 1:0 |
| კაენი-ლიონი | 1:0 |
| ლორიენი-ოსერი | 1:1 |
| მარსელი-ევიანი | 2:0 |
| ნანსი-ვალანსიენი | 1:1 |
| პსჟ-ნიცა | 2:1 |
| სოშო-რენი | 2:6 |
| სენტ ეტიენი-ტულუზა | 1:1 |

**რუსეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ტერეკი-ტორპედო(ვ) | 2:0 |
| ამკარი-რუბინი | 0:2 |
| დინამო-ანჟი | 1:0(დდ) |
| როსტოვი-ტომი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| ზენიტი-დინამო(ბრ) | 2:0 |
| სპარტაკი-ვოლგა | 1:1(5:6პ) |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქარაბუქი-გალათასარაი | 1:1 |
| ანთალია-მერსინი | 1:2 |
| ერჩიესი-გენჩლერი | 0:0 |
| სანსუნი-ტრაბზონი | 1:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქსანთი-აეკი | 3:4 |

**ხელბურთი**

**მსოფლიო თასი. ქალები**

| | |
|---|---|
| გერმანია-რუმინეთი | 31:29 |
| რუსეთი-შვედეთი | 28:21 |
| ნორვეგია-საფრანგეთი | 27:34 |
| დანია-ესპანეთი | 24:30 |

**რაგბი**

**მსოფლიო თასი**

| | |
|---|---|
| ტონგა-იაპონია | 31:18 |
| ს.აფრიკა-ნამიბია | 87:0 |

# კლასიკური კლასიკო და დილას საღამო ზესტაფონში

**ტორპედო — დინამო 2:1**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 3.500 მაყურებელი**

**1:0 დოლიძე (6), 2:0 მეგრელაძე (10), 2:1 იაგუე (41)**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, თარხნიშვილი, მეგრელაძე (გოცირიძე 78), გურული (ჩიკვილაძე 65), დოლიძე (საბანაძე 70), დიღმელაშვილი, გამეზარდაშვილი, გ.დათუნაიშვილი, ბოლქვაძე

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, კოშკაძე, ალვარო (ფანცხავა 84), ლექვთაძე (ჩისკო 63), კვეკვესკირი, კოტო (კახელიშვილი 70), ჰომოლა, ოდიკაძე, იაგუე

ქართული „კლასიკოს" დროს ქუთაისის ცენტრალური არენა ყოველთვის გადაჭედილი იყო, თუმცა ამჯერად მაყურებელმა სანახევროდაც არ შეავსო სტადიონი. ამის მიზეზი ქუთაისელ გულშემატკივართა ბოლოდროინდელი იმედგაცრუება გახლდათ. თუმცა, ამ თამაშის შემდეგ მაყურებელს სტადიონისკენ გული ისევ მიუბრუნდება.

ქომაგები „დინამოსთან" მატჩამდეც ნეგატიურ პროგნოზებს აკეთებდნენ. ამასთან, რიონისპირელები ლიდერთან დაპირისპირებას არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ხვდებოდნენ — „მეტალურგთან" წაგების შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა გიორგი კიკნაძე, რიონისპირელთა დროებით დამრიგებელს გიორგი სუხიაშვილს კი გუნდის მოსამზადებლად ფაქტობრივად დროც არ ჰქონდა. თუმცა, სუხიაშვილისა და მისი ასისტენტის კახა ჩხეტიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გუნდის საბრძოლოდ განწყობა და „დინამოსთან" გამარჯვების მოპოვება მოახერხეს.



სხვათა შორის, შეხვედრას სტუმართა ლოჟიდან მომავალ შეგირდებს გია გეგუჩაძეც ადევნებდა თვალს, რომელმაც „ტორპედოსთან" ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მალე მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებასაც შეუდგება.

სუხიაშვილმა, წინა მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ყველაზე თვალშისაცემი მარცხენა მცველად ჩიკვილაძის ნაცვლად გურულის დაყენება იყო. ამასთან ერთად, ძირითადს დაუბრუნდნენ თოდუა, მეგრელაძე და თარხნიშვილი.

მატჩი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი მეორეზე გაცილებით სანახაობრივი იყო. შეხვედრა ისე დაიწყო, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები უკეთესს ვერ ინატრებდნენ: მასპინძლები მე-10 წუთზე უკვე 2:0 იგებდნენ! პირველი გოლისას მარცხენა ფრთაზე ბოლქვაძემ იაქტიურა, რომელმაც ერთი მოძრაობით ჩამოიშორა დავით ოდიკაძე და რთული სიტუაციიდან დოლიძეს საჯარიმოს მისადგომებთან ჩაუწოდა, ამ უკანასკნელმაც შეუჩერებლად დაარტყა და ბურთი ლორიას კარის მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

მალევე „ტორპედომ" უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა — კონტრშეტევისას ბოლქვაძემ მეკარეთან პირისპირ ერთბაშად ორი ტორპედოელი დატოვა, დოლიძემ თავად არ დაარტყა და უფრო კარგ პოზიციაში მდგარი მეგრელაძე მოძებნა და ქუთაისელთა მეგოლემ შანსი ხელიდან არ გაუშვა — 2:0. დინამოელები გოლს აპროტესტებდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ამ ეპიზოდში თამაშგარე იყო, თუმცა, არბიტრმა გოლი დააფიქსირა.

ორბურთიანი ჩამორჩენა გარსიას შეგირდებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. თბილისელები კომბინაციურ თამაშის აწყობას ცდილობდნენ, თითქოსდა ბურთსაც კარგად აკონტროლებდნენ, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. კოშკაძის საჯარიმო დარტყმას მიგინეიშვილი იოლად გაუმკლავდა, საპასუხო იერიშისას კი „ტორპედოს" კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ დოლიძემ მახვილი კუთხიდან უზუსტოდ დაარტყა, როცა შეეძლო ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფი მეგრელაძისთვისა ან თარხნიშვილისთვის გადაეწოდებინა. შეტევაში მყოფ დინამოელებს ხშირად დაცვა მოშიშვლებული რჩებოდათ, მაგრამ ამით მასპინძლებმა ვერ ისარგებლეს.

საყურადღებოა, რომ ისინი ძალიან ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარეში. ტაიმის ბოლოს გარსიას გუნდი კიდევ უფრო გააქტიურდა. ალვაროს ჯარიმა მიგინეიშვილმა მოიგერია, ლექვთაძის ძლიერი დარტყმა კი მიზანს ასცდა. თბილისელთა მორიგი შეტევა გოლით დაგვირგვინდა. ოდიკაძემ იაგუეს ფლანგზე გრძელი გადაცემა გაუკეთა, ქუთაისელთა მცველებმა და მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვეს და ესპანელმა მახვილი კუთხიდან სხვაობის შემცირება მოახერხა.

მართალია, მეორე ტაიმი პირველი ნახევარივით კარგი საყურებელი არ გამოდგა, მაგრამ ბრძოლა და მონდომება ფეხბურთელებს შესვენების შემდეგაც არ აკლდათ. შესაბამისად, მატჩის დაძაბულად მიმდინარეობდა. ტაიმის დებიუტშივე მეგრელაძეს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა მიზანს ასცდა.

დასამახსოვრებელი იყო კოშკაძის მახვილი კუთხიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომელიც მიგინეიშვილმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ალექს გარსიამ მატჩის გადასარჩენად შეცვლებს მიმართა, თუმცა „ტორპედოს" მცველებს შეცდომა აღარ დაუშვიათ, მეტოქეს მაგრად დაუდგნენ და „დინამოს" რეალური საგოლე შანსი არც კი მისცემია. ბოლოს კი ქუთათურებმა ბურთის დაჭერაც მოახერხეს და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანეს.

***მატჩის შემდეგ***

**ალექს გარსია:**

— პირველ ათ წუთში მიუტევებელი შეცდომები დავუშვით, რაც ორ გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ორბურთიანი ფორის გაბათილება ველარ შევძელით.

**გიორგი სუხიაშვილი:**

— გუნდის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა. ფეხბურთელებს საწყის 10 წუთში „დინამოს" ნახევარზე ყოფნა და მეტოქის „მოხრჩობა" დავავალეთ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, სწრაფი გოლები გავიტანეთ და ამან ჩვენი გამარჯვება განაპირობა.

**ზესტაფონი — დილა 0:4**

**ზესტაფონი. „დავით აბაშიძე"**

**0:1 რაჟამაშვილი (40), 0:2 ჩაგელიშვილი (45), 0:3 ახალკაცი (48), 0:4 ნემსაძე (58)**

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ალადაშვილი, ონიანი (საჯაია 45), კობახიძე, ელიავა, ძარია, გორგიაშვილი, შ. გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი (სარდალიშვილი 46), გელაშვილი, წინამძღვრიშვილი (ლომია 62)

**დილა:** მერლანი, გველესიანი, ქარქუზაშვილი, მაჭავარიანი, ჩაგელიშვილი, ჯოჯუა, ვ. ხორგუაშვილი (ნემსაძე 58), ახალკაცი (სადაღაშვილი 73), ჩაგელიშვილი, პ. ხორგუაშვილი (ბაქრაძე 80), რაჟამაშვილი

ზესტაფონურ გუნდს კრიზისი აქვს — გია გეგუჩაძის წასვლის შემდეგ იმერული კლუბი ერთხანს ინერციით თამაშობდა, ბოლო ორ ტურში კი ჯერ ულიმღამოდ მოუგეს ბოლოადგილოსან ბოლნისის „სიონს", ახლა კი მოულოდნელი და გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს „დილასგან" — 0:4. მარცხიც არის და მარცხიც — ამ თემაზე ჯერ კიდევ ბევრი საუბარი მიდის.

შიდაქართლელებმა გუშინ თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და მათი უმრავლესობა გოლებით დაასრულეს. თქვენ წარმოიდგინეთ, „დილას" ოთხზე მეტი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ „ზესტაფონის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო მეკარე როინ კვასხვაძე, რომელიც გორელთა იერიშებს, ფაქტობრივად, მარტოდმარტო უმკლავდებოდა. „ზესტაფონმა" კი პრესტიჟის გოლის გატანაც ვერ შეძლო.

„დილამ" იმდენად დამაჯერებლად გაიმარჯვა, რომ ზესტაფონელი ქომაგების სიმპათიაც კი დაიმსახურა. ადგილობრივმა ფან-კლუბმა გორელები აპლოდისმენტებით გააცილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| 2.ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:4 | 12 |
| 3.მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 11 |
| 4.ზესტაფონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:10 | 11 |
| 5.გაგრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| 6.ტორპედო | 6 | 3 | 0 | 3 | 6:6 | 9 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 8.მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| 9.დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 7 |
| 10.კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| 11.სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:6 | 3 |
| 12.სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |

**ბომბარდირი:**

დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 4 ბურთი; ლუკა გუგუჩია (ბაია), შალვა კვანტალიანი (გაგრა), გიორგი მანწკავა (მერანი), ჩისკო (დინამო), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) (1 პენ.), დავით რაჟამაშვილი (დილა) 3□3.

# გუნდები თასზე დაწყვილდნენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/8 ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა.

კენჭისყრაში 16 კლუბი მონაწილეობდა. პირველი 8 ადგილზე მყოფი გუნდები განთესილები იყვნენ და მათი ერთმანეთთან ჯახი იმთავითვე გამოირიცხა. საბოლოოდ, გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

ტორპედო (ქუთაისი)-დინამო (ბათუმი); ჭიათურა (ჭიათურა)-ვიტ ჯორჯია (თბილისი); დინამო (თბილისი)-დილა (გორი); ზესტაფონი (ზესტაფონი)-კოლხეთი (ფოთი); ბაია (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი); ჩიხურა (საჩხერე)-მეტალურგი (რუსთავი); მერანი (მარტვილი)-სპარტაკი (ცხინვალი); სულორი (ვანი)-გაგრა (გაგრა)

მერვედფინალის პირველი შეხვედრები 28 სექტემბერს გაიმართება და 16:00 საათზე დაიწყება, განმეორებითი მატჩები კი 2 ნოემბერს ჩატარდება დღის 15:00 საათზე.

***მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა***

შედით საიტზე atb.ge

# ჩარგალში „ვაჟაობას“ იზეიმებენ

ეკა ირემაშვილი



24 სექტემბერს სოფელ ჩარგალში სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ გაიმართება, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს მიეძღვნება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს აღნიშვნა სექტემბრის პირველ შაბათს — 3 სექტემბერს იყო დანიშნული, მაგრამ მწერლის შთამომავლის, ლელა რაზიკაშვილის განცხადებით, იმის გამო, რომ თბილისსა და სხვადასხვა კუთხეში ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება იმართება, გადაწყდა, მასშტაბურ საიუბილეო ღონისძიებას დასკვნითი სახე მიეცეს და მიმდინარე თვის ბოლოსთვის მწერლის მშობლიურ სოფელ ჩარგალში ჩატარდეს.

ვაჟა-ფშაველა ლუკა რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში დაიბადა. მის ლექსებზე, პოემებზე, მოთხრობებზე, პუბლიცისტურ წერილებსა და სხვა უნიკალურ ნაწარმოებებზე თაობები იზრდებიან. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. იგი ასევე ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო იდეებს. ვაჟა-ფშაველას ქართველმა საზოგადოებამ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა განსასვენებელი.

ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგალში პოეტის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავი ღონისძიება მისსავე სახლ-მუზეუმთან 12 საათზე დაიწყება, სადაც ქართველი მწერლები და პოეტები შეიკრიბებიან და კიდევ ერთხელ გაიხსენებენ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მანამდე კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ცეზარ ჩოჩელი სოფელ ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმთან მისასვლელ 3-კილომეტრიან გზას გახსნიან, რომლის რეაბილიტაციაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა. გზაზე დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყო ხელოვნური ნაგებობები და ეზოებში შესასვლელები. გზა მოინიშნა და დაიხაზა, დამონტაჟდა უსაფრთხოების ჯებირები და საგზაო ნიშნები.

ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს იუნესკოც ზეიმობს. პოეტის დაბადების დღეზე 14 ივლისს ჩარგალში შეიკრიბნენ მისი შთამომავლები, ანსამბლი სუხიშვილები, მომღერლები და კიდევ ერთხელ გაიხსენეს დიდი პოეტი. „საჩუქარი ვაჟას“ — ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით იყო დატვირთული.

24 სექტემბერს დაგეგმილ სახალხო დღესასწაულზე საკუთარი შემოქმედებით წარდგებიან ქართული ფოლკლორული ანსამბლები „გორდელა“, „ქალილო“ და„ფხოვი“. კონცერტების პარალელურად, დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ვაჟაობაზე დაგეგმილია სპორტული და კულტურული ღონისძიებების მოწყობა. დუშეთის გამგებელმა ლაშა ჯანაშვილმა განაცხადა:

— „ვაჟაობაზე“ ვგეგმავთ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებას, მათ შორის სპორტულს და კულტურულს. დილიდან იქნება შეჯიბრება მკლავჭიდსა და დოღში. ველოდებით ძალიან ბევრ სტუმარს, იქნებიან დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მოღვაწეები. ყველა მსურველს შეეძლება ვაჟას სახლ-მუზეუმში მოსვლა და ღონისძიებაზე დასწრება.

პოეტის სახლ-მუზეუმთან არსებულ ამფითეატრის ტერიტორიაზე მოეწყობა ქართული ჭიდაობა, გაიმართება დოღი. მთელი დღის მანძილზე სოფელ ჩარგალში მოეწყობა ტრადიციული ხელსაქმის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ხოლო ღონისძიებას ანსამბლ „რუსთავის“ გალა-კონცერტი დახურავს. ანსამბლის ხელმძღვანელ ფრიდონ სულაბერიძის განცხადებით, კონცერტისთვის მზადება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

— ჩვენთვის დიდი პატივია „ვაჟაობის“ ღონისძიებაში მონაწილეობა. როგორც ვიცი, ბევრ სტუმარს ელოდებიან და უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ იმაზე, რომ მათ წინაშე ღირსეულად წარვდგეთ.

„ვაჟაობის“ პარალელურად, ანსამბლი „რუსთავი“ სოლოკონცერტისთვისაც ემზადება. მათი კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში ოქტომბერშია დაგეგმილი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით ჩატარდება.

— ჯერ თარიღს ზუსტად ვერ გვეუბნებიან, იმიტომ რომ ოქტომბერში სხვადასხვა ანსამბლის კონცერტებიც იგეგმება. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარვადგენთ ძველ და ახალ პროგრამას, რისთვისაც აქტიურად ვემზადებით. კონცერტზე ძველი, უფროსი და ახალი თაობის მოცეკვავეები გამოვლენ, — ამბობს ქორეოგრაფი.

სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“ მწერლის იუბილეს აღსანიშნავად ყოველი წლის სექტემბერში ტარდება, რომელიც სასიამოვნო ღონისძიებებით უამრავ სტუმარს იზიდავს და მწერლის შემოქმედების უკვდავყოფას ემსახურება.

# „შემოდგომის თბილისი“ დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნის, ბერნსტაინისა და ვახტანგ კახიძის ნაწარმოებები.

„შემოდგომის თბილისი“ 28 სექტემბერს განახლდება თბილისის სიმფონიურ ორკესტრს კვლავ ვახტანგ კახიძე უდირიჟორებს, სოლისტები კი იქნებიან ჰანს დიტერ კარასი (ორგანი, გერმანია), ბეატე ალტენბურგი (ჩელო, გერმანია) და ნატალია ქუთათელაძე (ვოკალი, საქართველო). პროგრამაშია ლისტის, კარასის, ვახტანგს კახიძისა და რაველის ნაწარმოებები.

1 ოქტომბერს ფესტივალი უკვე ჯაზური მუსიკის კონცერტს უმასპინძლებს. ჯაზის მოყვარულებისთვის დაუკრავს ჯაზ-კვარტეტი ზურაბ რამიშვილის (ფორტეპიანო), რევაზ კიკნაძის (საქსოფონი), პავლე კვაჭაძის (ბასი) და გია სალაღიშვილის (დასარტყამები) შემადგენლობით.

ორდღიანი პაუზის შემდეგ ფესტივალს უკვე ესპანელი მაესტრო ხოსე მიგელ პერეზ-სიერა ეწვევა, რომელიც თბილისის სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს. კონცერტის სოლისტი გერმანელი ჩელისტი ბეატე ალტენბურგი იქნება, რომელიც მსმენელისთვის დვორჟაკის ნაწარმოებებს შეასრულებს.

6 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიება მთლიანად ქართული ფოლკლორს მიეძღვნება. საღამოზე შეკრებილი ფესტივალის მასპინძლები და სტუმრები ანსამბლ „შვიდკაცას“ 55 წლის იუბილეს იზეიმებენ. საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები „მართვე“, „ბიჭები“, „მძლევარი“, „რუსთავი“, „ბასიანი“, „იმერეთი“, „ბათუმი“, „შალვა ჩემო“, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქოს გუნდი, ქალთა ინსტრუმენტული ანსამბლი „გორდელა“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ქალგული“.

ფესტივალის მომდევნო დღე ისევ კლასიკურ მუსიკას დაეთმობა. თბილისის სიმფონიურ ორკესტრს ამჯერად რუსი დირიჟორი ფელიქს კორობოვი უხელმძღვანელებს. სოლისტი ალექსანდრე ფარსადანოვი (კონტრაბასი, რუსეთი) იქნება. 7 ოქტომბერს ფესტივალის ეგიდით შესრულდება შტრაუსის, კუსევიცკისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

9 ოქტომბრიდან ფესტივალი მცირე დარბაზში გადაინაცვლებს, სადაც წარმოდგენილი იქნება „თოჯინების საოპერო თეატრი“, დონიცეტი „სიყვარულის ნექტარი“. ორდღიანი შესვენების შემდეგ კი მცირე დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტი ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სიმფონიური ორკესტრის სოლისტები. პროგრამაშია მოცარტის, ვიდორის, სენ-სანსის, ვებერის, პულენკის, მენდელსონის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გიორგი შამანაური (ფლუგელჰორნი), ალექსანდრე ვასაძე (ფორტეპიანო), შოთა გოგოძე (კლარნეტი), ნუცა კასრაძე (ფორტეპიანო), ზურაბ გვანცელაძე (ჰობოი), ნინო ჩხეიძე (ფორტეპიანო), შალვა ნანობაშვილი (ფაგოტი), ირინა ბერუაშვილი (ფორტეპიანო), ნატალია ლომინაძე (ფლეიტა), მარინა ადამიშვილი (ფორტეპიანო), გიორგი ხაინდრავა (ვიოლინო), მირიან ედილაშვილი (ალტი), ალექსანდრე შაპირო (ვიოლინო), ალექსანდრე მარქარიანი (ალტი), გიორგი ლალაშვილი (ვიოლინო), მინდია ჟღენტი (ჩელო), ალექსი ფაციაშვილი (ვიოლინო), ვახტანგ ონანაშვილი (კონტრაბასი).

რიგით მეცხრამეტე საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ 13 ოქტომბერს საზეიმოდ დაიხურება. დასკვნით კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, ამერიკელი დირიჟორი უინსტონ დენ ფოგელი და სოლისტები ალექსანდრე თიგიშვილი (ვიოლინო, საქართველო), კლასიკური მუსიკის მოყვარულები კი ბრამსის, მენდელსონისა და ვაგნერის ნაწარმოებებს მოისმენენ.

ფესტივალის კონცერტებზე დასასწრებად კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ბილეთებში 5-დან 20 ლარის გადახდა მოუწევთ.

# იუმორი



— ქალიშვილო, რას აკეთებთ დღეს საღამოს?

— ვთხოვდები.

— შემდეგ?

***

ტიპი თავის ძმაკაცს სტუმრად ეწვია. მასთან ერთად ბინაში ერთი გაბანჯგლული ქოფაკი შევარდა. სანამ სტუმარ-მასპინძელი ჩაის გეახლებოდნენ, ძაღლმა მთელი სახლი შემოირბინა, ფარდები ჩამოგლიჯა, ყვავილების ქოთნები ძირს გადმოყარა. ბოლოს, სტუმარმა წასვლა რომ დააპირა, ძაღლმა ხალიჩაზე გუბე დააყენა. მასპინძელი იმედიანად ეკითხება სტუმარს:

— იმედია, შენს ძაღლს თან წაიყვან.

— ჩემს ძაღლს? — გაუკვირდა სტუმარს, — მე მეგონა, რომ შენია...

***

— ეჰ, რამდენმა წყალმა ჩაიარა და რა ვნახე ამქვეყნად კარგი? — ამოიოხრა უნიტაზმა...

***

ცოლი მივლინებიდან დაბრუნდა და ქმარს კარიდან უყვირა:

— აბა, პარაზიტო, ალბათ სულ ქალებში დაეთრეოდი!

— ქალებისა რა გითხრა და მხოლოდ ერთთან ვიყავი. შენ თავად არ მითხარი, „ერთი სცადეო“?...

გ. თ.

# ახმეტაში რთველის ადგილობრივი შტაბი გაიხსნა

ახმეტაში მუშაობა დაიწყო „რთველი 2011“-ის ადგილობრივმა შტაბმა.

რადიო „ჰერეთის“ ცნობით, შტაბი განთავსდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე და ის 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს. შტაბი გლეხებს დახმარებას გაუწევს მოწეული მოსავლის რეალიზებაში.

ოფიციალური ინფორმაციით, ახმეტაში მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებულ ვენახებს 1983 ჰექტარი უკავია, საიდანაც წინასწარი გათვლებით 7000 ტონამდე ყურძნის მიღებას ვარაუდობენ.

საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გათვლებით წელს კახეთში 150 ათასამდე ტონა ყურძნის მოსავალს ელოდებიან. კილოგრამ რქაწითელზე სახელმწიფო დამატებით 15 თეთრს იხდის, საფერავზე კი 25-ს. ადგილობრივების თქმით, შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით კარგი მოსავალია, თუმცა გლეხების უმრავლესობა ყურძნის ფასით უკმაყოფილოა.

პრაიმ-ნიუსი

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 4. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 5. მსუბუქი ავტომობილების ამერიკელი კონსტრუქტორი; 8. ყურანის თითოეული თავი; 9. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 10. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 12. საუნივერსიტეტო ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 15. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული საესტრადო ანსამბლი.

**თარაზულად:** 1. ძველებური აბრეშუმის სამკუთხა ხელსახოცი, ყარაჩოხელთა ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. რაიმეს ჩამონათვალი სია; 10. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 11. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. სახელმიფო ბალტიისპირეთში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. ბრიტანული ტაქსი; 17. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 18. მთა თბილისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ოშკი; 2. ილი; 3. ბარიბალი; 4. შუ; 5. „ტრავიატა“; 6. „სონი“; 7. გინიოლი; 10. როსი; 11. ნონეშვილი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. შტამბი; 18. ჰოკაიდო; 19. „შტერნი“; 21. რუპია; 24. ლახტი.

**თარაზულად:** 1. ორმუზდი; 3. ბინოში; 8. პრიორი; 9. კურო; 14. ასთმა; 15. „კარტიე“; 17. პიცა; 20. ლაშარი; 22. ტროპი; 23. ტიტული; 25. „ძმა“; 26. მწდე; 27. კაფე; 28. ხმელნიცკი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფესი; 2. ობი; 3. „მაკნატუნა“; 4. მზიფი; 5. ქარაგმა; 8. ლორი; 9. ცინიზმი; 10. ნაკამურა; 12. ქარწბი; 13. ოპაკი; 15. ღვინო.

**თარაზულად:** 1. „ფიდელიო“; 6. „მალვაზია“; 7. სალდო; 10. ნანდუ; 11. „გრუჩი“; 13. ოპიზა; 14. ბალჩა; 16. წუღა; 17. აკიჰიტო; 18. ჟიგოლო.

# დილა ყოველთვის მშვიდობისაა?

ტესტი



***1. ძილის წინ ფიქრობთ:***

ა. მადლობა ღმერთს, კიდევ ერთი დღე მიილია. ბ. რა სწრაფად გაირბინა დღემ. გ. ხვალ უკეთესი დღე დადგება.

***2. გამოღვიძების შემდეგ:***

ა. ავტომატურად დგებით და ჩაიდანს ადუღებთ. ბ. ცოტა ხანს კიდევ ნებივრობთ. გ. ყოჩაღად დგებით, სიმღერ-სიმღერით იბანთ პირს და სამსახურისკენ მიიჩქარით.

***3. სარკეში ჩახედვისას ფიქრობთ:***

ა. ძველი სილამაზის კვალიც არ დარჩა. ბ. ფორმას თუ შევინარჩუნებ, კიდევ არა მიჭირს რა. გ. რა კარგად გამოვიყურები.

***4. დაქალმა შემოგჩივლათ, რომ საფულე მოჰპარეს:***

ა. მეც სულ რაღაც მემართება. ბ. კარგია, მე რომ არ დამემართა ეს. გ. ფული სხვადასხვა ადგილას უნდა შეინახო.

***5. თავს სხვებს რომ ადარებთ, ამჩნევთ, რომ:***

ა. არ გაფასებენ. ბ. სხვებისგან არაფრით განსხვავდებით. გ. სხვებზე კარგი ვარ, დიდი ამბავი, თუ ამას ვერ ამჩნევენ.

***6. თუ რამე ცუდი დაგემართათ:***

ა. სულ მე უნდა დამემართოს რაღაც. ბ. რა ვქნა? გ. რაც გინდა მოხდეს, საქმე უკეთესად წავა.

***7. ხანდახან წარსულ ცხოვრებაზე რომ ფიქრობთ, ამბობთ:***

ა. ცუდი ჭარბობდა. ბ. კარგი ჭარბობდა. დ. ყველაფერი კარგად იყო და ასე გაგრძელდება.

## პასუხები

*შეაფასეთ ა-0, ბ-1, გ-2*

**0-2 ქულა:** ყველაფერს მუქი სათვალით უყურებთ, უკვე შეეჩვიეთ აზრს, რომ ბედი არ გწყალობთ და ამით ამაყობთ კიდეც, სხვებს აცოდებთ თავს. სინამდვილეში ასე სულაც არ არის საქმე.

**3-6 ქულა:** ოპტიმისტურად უყურებთ მომავალს, მაგრამ თუ პრობლემა წამოიჭრა, გადაჭრა გიჭირთ. ასეთ შემთხვევებში ფარ-ხმალს ყრით.

**7-10 ქულა:** ბედნიერი ადამიანი ხართ, რადგან სიცოცხლე გიხარიათ, პრობლემებს მშვიდად ხვდებით და მაშინვე იწყებთ მათ ანალიზს.

**11-14 ქულა:** იმდენად გიხარიათ არსებობა, რომ საერთოდ ვერ ამჩნევთ რაიმე პრობლემას, ხართ ოპტიმისტი, ადვილად ივიწყებთ პრობლემებს, მიგაჩნიათ, რომ ყველაფერი თავად მოგვარდება.

გ. თ.

## საქართველოს ელჩმა კანადის გენერალ-გუბერნატორს რწმუნებათა სიგელები გადასცა

კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან მეტრეველმა რწმუნებათა სიგელები გადასცა კანადის გენერალ-გუბერნატორს მის აღმატებულებას დეივიდ ლოიდ ჯონსტონს.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, ცერემონიალის შემდეგ გაიმართა შეხვედრა, რომელზედაც მხარეებმა მიმოიხილეს კანადასა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები და მათი გაღრმავების პერსპექტივები პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებებით.

კანადის გენერალ-გუბერნატორმა საქართველოს ელჩს წარმატებები უსურვა თავის საქმიანობაში.

**პრაიმ-ნიუსი**

## „ქრისტიან-დემოკრატები“ სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაციას ითხოვენ

„ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელი მაგდა ანიკაშვილი და თელავის მაჟორიტარობის კანდიდატი ნიკო ლაშხი გუშინ თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშენის ამბულატორიაში მივიდნენ. მათი განცხადებით, სამედიცინო დაწესებულებაში არსებული ვითარება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ანტისანიტარიასთან ერთად არ არსებობს თანამედროვე ინვენტარი, უკვე ათწლეულებია არ გაკეთებულა რემონტი, არ შეცვლილა აღჭურვილობა.

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დაავადებების უმეტესი ნაწილის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში ხორციელდება და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ერთვება ჰოსპიტალური სექტორი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ პრიორიტეტებში ჩასვას სოფლის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და ამბულატორიების რეაბილიტაცია, რაც საუკეთესო პრევენცია იქნება დაავადებების მართვის თვალსაზრისით,— განაცხადა მაგდა ანიკაშვილმა.

**მედიანიუსი**

## საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეჯამების ვადები იზრდება

ახალი საარჩევნო კანონმდებლობით, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეჯამების ვადების თითქმის გასამმაგება იგეგმება.

„საარჩევნო კოდექსის“ მოქმედი რედაქციით, ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-8 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს შემაჯამებელ ოქმს, რასაც განკარგულებით ამტკიცებს.

„საარჩევნო კოდექსის“ ახალი პროექტით კი, 8 დღიანი ვადა, 20 დღემდე იზრდება. შესაბამისად, ცესკო-მ საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, კენჭისყრიდან არაუგვიანეს მე-20 დღის უნდა გააფორმოს.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, დანარჩენი რეგულაციები კოდექსის პროექტში მოქმედი კოდექსიდან უცვლელად არის გადატანილი.

ახალი „საარჩევნო კოდექსის“ პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მისი განხილვა პროექტზე ვენეციის კომისიის მიერ დასკვნის მომზადების შემდეგ დაიწყება.

**პრაიმ-ნიუსი**

## „საქართველოს ციხეებში ებრაელ ბიზნესმენებს შეურაცხყოფას აყენებენ“

ისრაელის გაზეთი „ედიოტ ახრონოტი“ აქვეყნებს ამონარიდებს საქართველოში დაკავებული ისრაელელი ბიზნესმენის რონი ფუქსის მიერ თავისი ადვოკატისთვის გაგზავნილი წერილიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ფუქსი ქართულ ციხეში არსებულ უკანონობასა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ფაქტებზე საუბრობს.

წერილის მიხედვით, ციხის თანამშრომლებმა ფუქსს შეატყობინეს, რომ იგი ამიერიდან საკვებს საგანგებო დიეტის შესაბამისად აღარ მიიღებს. როგორც ცნობილია, ბიზნესმენს შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. მას შეუმცირეს სუფთა ჰაერზე სეირნობისთვის გამოყოფილი დრო და სატელეფონო ზარების რიცხვი. ამიერიდან ერთი თვის განმავლობაში ტელეფონით ფუქსი მხოლოდ სამჯერ ისარგებლებს.

თუმცა ეს ზეწოლის მხოლოდ ოფიციალური მხარეა. ფუქსს აეკრძალა საკანში ექიმის გამოძახება. ღამით მას ციხის ზედამხედველები აღვიძებენ და საკანში ჩხრეკას ატარებენ, ზოგჯერ ეს ერთი საათის განმავლობაში სამ-ოთხჯერ ხდება. ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელი შემოწმების დროს ფუქსს ჯიბეში კოკაინის პაკეტი ჩაუდეს და უთხრეს, რომ ასეთი რამისთვის მას 20 წლით ციხეში ყოფნა მოუწევდა.

გამოცემის ინფორმაციით, ზეწოლის ქვეშ იმყოფება ფუქსთან ერთად დაკავებული მეორე ისრაელელი ბიზნესმენი ზეევ ფრენკელიც. იგი სასჯელს სხვა ციხეში იხდის. „ედიოტ ახრონოტის“ ცნობით, ფრენკელს საკანში ყველაზე მაღლა მდებარე საწოლი მიუჩინეს, სადაც ამ უკანასკნელს ასვლა ძალიან უჭირს. გარდა ამისა, ფრენკელს არ ეძლევა ექიმის ნახვის საშუალება და მას შეუმცირეს სეირნობის საათებიც.

გაზეთის ცნობით, ორივე დაკავებულის ოჯახმა ისრაელის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს ფუქსის და ფრენკელის დამხარებისა და დაცვის თხოვნით მიმართა.

როგორც „ედიოტ ახრონოტის“ პუბლიკაციაშია ნათქვამი, საქართველოს ხელისუფლების წევრებმა იციან, რომ ფუქსის და ფრენკელის ადვოკატები ამ საქმის სტრასბურგში წაღებას გეგმავენ და მსჯავდებულებზე ზეწოლას აძლიერებენ იმისათვის, რომ მათგან აღიარებითი ჩვენება მოიპოვონ. გამოცემის ცნობით, საქართველოს ხელისუფლებას ფუქსის და ფრენკელის 100 მილიონი აშშ დოლარი მართებს.

ცნობისთვის: ქართველმა სამართალდამცველებმა ისრაელელი ბიზნესმენები 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მართლმსაჯულებამ მათ ბრალი ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძის მოსყიდვის მცდელობაში დასდო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა საქართველოში დაკავებულ რონი ფუქსს შვიდი წლით, ხოლო ზეევ ფრენკელს ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამასთან, მოსამართლემ ფუქსს 500 ათასი ლარის ჯარიმის სახით გადახდა დააკისრა, ხოლო ფრენკელს ჯარიმის სახით 100 ათასი ლარის გადახდა მოუწევს. საქმე უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული.

**მედიანიუსი**

## სკოლებში ინგლისური ენის კაბინეტები გაიხსნება



ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით სკოლებში სასწავლო ლიტერატურით, ვიზუალური და აუდიო მასალებით აღჭურვილი ინგლისური ენის კაბინეტები გაიხსნება.

ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, აღნიშნულ კაბინეტებში მოსწავლეებს ინგლისურს „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამაში მონაწილე უცხოელი პედაგოგები შეასწავლიან.

სპეციალური კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, დღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მემორანდუმი გაფორმდა. საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების ორგანიზაციასთან გაფორმებულ მემორანდუმს ხელი მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ მოაწერა.

**მედიანიუსი**

## ნავთობისა და გაზის კორპორაციაში სახელმწიფოს წილი მცირდება

ნავთობისა და გაზის კორპორაციაში სახელმწიფო წილის რაოდენობა 75-დან 50 პროცენტამდე შემცირდება. სწორედ ამას ითვალისწინებს ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა.

როგორც კომიტეტის სხდომაზე ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძემ განმარტა, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ნავთობის ეროვნული კომპანია სახელმწიფო კომპანიის სტატუსს იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ სახელმწიფო მისი წილის (აქციების) 75-ზე მეტ პროცენტს ფლობს. დღეისათვის ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ აქვს მინიჭებული. ახალი ცვლილებით კი ნავთობის ეროვნულ კომპანიაში სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული 75-პროცენტიანი ბარიერი იცვლება და 50 პროცენტით განისაზღვრება.

მისი თქმით, ნავთობის ეროვნულ კომპანიაში სახელმწიფოს მიერ 50-ზე მეტი წილის (აქციების) ფლობა სახელმწიფოს გადამწყვეტი ხმის უფლებამოსილებას ანიჭებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ინიციატორები კი დეპუტატები: თეიმურაზ წურწუმია და ზვიად კუკავა.

კომიტეტმა მისი პირველი მოსმენით მიღებას მხარი დაუჭირა.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა საქართველოს პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი



**თამაზ ჭუმბურიძე**

პანაშვიდი: 23, 24 სექტემბერს, 16 სათიდან.

დაკრძალვა: კვირას, 25 სექტემბერს, 15 საათზე.

მისამართი: ქ.ქუთაისი, ტყაბლაძის (ყოფილი ურიცკის) ქუჩა №46.

---

**შალვა დვალის მოგონება**



24-ჯერ გულში ჩაცემული ლახვარი და 24-ჯერ გაგლეჯილი შენი დედის გული ისევ ამქვეყნიდან გილოცავ, ჩემო სიცოცხლის მოყვარულო და სიცოცხლით დაუკმაყოფილებელო შვილო, შალვა, 23 სექტემბერს. 23 სექტემბერი ჩვენი სინანულის დღეა, რატომ გაჩნდი, თუ არ შემრჩებოდი. მაგრამ მეამაყება, რომ მყავდა შენისთანა შვილი და ვიყავი შენი დედა. ნუ გათამამდები მარტო მამიკოსთან ყოფნით, მეც მჭირდებით, იქნებ გავერთიანდეთ, გთხოვთ. მეც თქვენთან წამიყვანეთ.

შენი ოჯახი გილოცავს დაბადების დღეს — 23 სექტემბერს.

*დედიკო და ძმა*

---

მეუღლე თამარ გოგია-თოლორაია, შვილები ვახტანგ, ლევან, ხათუნა, სიძე დავით რეხვიაშვილი, რძლები ია და თამარი, შვილიშვილები გურამი, ლევანი, სალომე, ნოდარი, მარიამი, ლიზი, და მედიკო, სიძე რევაზ ლეჟავა და ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**გურამ (იულონ) თოლორაია**

პანაშვიდი: პარასკევსა და შაბათს, 23, 24 სექტემბერს.

დაკრძალვა: კვირას, 25 სექტემბერს, 14 საათზე

მისამართი: გლდანის მასივი, IV მიკრორაიონი, 110ა კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 35.

---

**ლაური (ლალა) გუგუტიშვილი-ჩინჩალაძის 50 წლის იუბილეზე**

(23.09.1961 წ. — 23.09.2011 წ.)



**მონატრებისა**

„გეძებ ყოველ ღამე, ჩამეძინება როდესღაც და დილით რომ გამეღვიძება, სიმწრის ოფლით ვიღვრები, გადმოვხედავ შენს მხარეს და ვერ გხედავ, შემდეგ ყოველ დილით მივდივარ შენს საფლავზე, ვუვლი იქაურობას, ვანთებ სანთელს და ვილოცები შენი სულის სადიდებლად. ასე გრძელდება ყოველ საღამოსაც. მე შენთანა ვარ, ჩემო საყვარელო ლალა, მითხარი, რამე წამლების ან საკვების მოწოდება ხომ არ გინდა, ვგრძნობ შენს სუნთქვას, ვეძებ შენს ნაფეხურებს, არ ვკარგავ იმედს, რომ შენს ნახვას შევძლებ. ვის რას უშავებდი, შენ ხომ სულ კეთილს თესავდი, რად ვართ ასეთი ბედის, ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება, თუ მე ჩემი ლალას სუნთქვას ვგრძნობ, ფეხის ხმა მესმის, იმის საშუალებაც მომეცი, რომ დანახვა შევძლო. ცრემლები, დარდი, სევდა ამ 18 თვის მანძილზე ამის უფლებას მაძლევს — ავიხდენ კი გულისწადილს?! — შენი მეუღლე“.

იმ საოცარ სცენას ღმერთი თუ ხედავდა, როცა ამ სამყაროში ჩვენ ერთად გავატარეთ ორ ათეულ წელზე მეტი, მე და შენს შვილებს ყოველ საღამოს, თუ ყოველ დილით დაძინებამდე თუ გაღვიძებამდე რომ ჩამოგვივლიდი, მოგვეფერებოდი, დაგვარიგებდი და წარმატებები შემდგომ გარანტირებული იყო. რაც ჩვენ დაგვაცილა ერთმანეთს განგებამ, ცხოვრება არცთუ წარმატებულად გრძელდება, რამდენი მიზანი, ოცნება დაგვრჩა განსახორციელებელი. შენ ხომ მძიმე ავადმყოფობის დროსაც ყველა უნდა მოგეკითხა, მიგეცა რჩევა, მოფერებოდი მეგობრებს, ნათესავებსა და კოლეგებს. შენი ოჯახი კი თითქმის ყველამ დაივიწყა, უშენოდ ძალიან ვწვალობთ, მაგრამ შენი ტრადიციების გამგრძელებელი მოვიყვანეთ ოჯახში, კარგი დედ-მამის აღზრდილი რძალი — გიკოს მეუღლე თამარი, ღმერთმა დალოცოს ჩვენთან ერთად და საუკეთესო მომავალი ვუსურვოთ მას.

ნუთუ შენი 50 წლის იუბილე ასე უნდა აღგვენიშნა, რა ულმობელი ყოფილა ბედისწერა. შენ ხომ ღვთისმშობლობის თვეში იყავი დაბადებული. ღვთისმშობლის წმინდა ხატის მადლითა და ძალით დაგიმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი.

*შენი დედ-მამა, მეუღლე მერაბი, შვილები მერაბიკო და გივიკო, რძალი თამარი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 23 სექტემბერი**

**1** **06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 19.00, 20.00** მოამბე **12.25 რაგბი**. მსოფლიო თასი: ავსტრალია -აშშ **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **17.00 წყალბურთი**. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ.ფ."**ჩარულოტა**" (სუბტ.) **02.15** მოამბე **02.35** ქართული დოკუმენტალისტიკა **03.35** მხ. ფილმი "**ელიზაბეტთაუნი**" (12) (სუბტ.) **05.45** მხ. ფ. "**ენი ჰოლი**" (12)

**2** **08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **09.30 წყალბურთი**. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი **14.00** საუკუნის პორტრეტები **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. "**ზიანი**" **20.00** მხ.ფ."**რეიგანების ოჯახი**" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **02.00** მხ. ფილმი "**უკანასკნელი სამურაი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ჯეოსტარი (გან.) **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.50** კონცერტი **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი "**დინების წინააღმდეგ**" (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი "**თაფლობის თვე**" (ს. მილერი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ."**დაკარგული ქვეყანა**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**ელიზა 2**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. "**დაუნების დედოფალი**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** სერ. "**მონტალბანო**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.40** დოკ. ფილმი "მარბენალი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ტარიელ გოლუა**" **13.30** კონცერტი — ანს. "მამული" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**ცისკარა**" **16.35** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "გალმამხარელნი" **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20 100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი "**დილის ნისლივით**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** მოკლ. ფილმი "**ადგილის დედა**" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ობოლი სული" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე **01.55** კონცერტი — ანს. "შინ"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,641 | ევრო — 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**ამინდის პროგნოზი 23 სექტემბრისთვის**

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 13-15
<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 1§-18
<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 7-13





# 26 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-12 ტომი

# კოკო შანელი

უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია: 1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი.

გამოსაცემად მზადაა: ჩარლი ჩაპლინი, მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.




## გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## შერმადინი — კანტუ თუ ვეფი

საქართველოს ნაკრებისა და ბერძნული პანათინაიკოსის ცენტრმა გიორგი შერმადინმა გასული სეზონი „ოლიმპიაში“ იჯარის წესით გაატარა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი მფლობელი ათენელები შერმადინს იბრუნებდნენ, სინამდვილეში კი ეს საკითხი ჯერაც გაურკვეველია.



— ათენში შევხვდები „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელობას და გავიგებ, რა როგორ იქნება. არის რამდენიმე კლუბი, რომელთაც ჩემი შემატება სურთ, მაგრამ, სანამ ბოლომდე არ გაირკვევა ყველაფერი, წინასწარ საუბარი არ მინდა, — განაცხადა შერმადინმა.

ამასობაში „პანათინაიკოსმა“ სერბეთში შეკრება მოილია, რამდენიმე ამხანაგური მატჩიც გამართა და საბერძნეთში დაბრუნდა, დღეს კი ბერძნულ პრესაში შერმადინის ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

— □იტალიური „კანტუ“ ურთიერთობის გაწყვეტას აპირებს ბელარუს ცენტრ არტიომ პარახუსკისთან (211 სმ.), მის შემცვლელად კი გიორგი შერმადინი შეუგულებია. ქართველი ცენტრი ბერძნული „პანათინაიკოსის“ საკუთრებაა და კონტრაქტს ვადა ერთ წელიწადში ეწურება. ბოლო სეზონში შერმადინმა 550 ათასი ევრო უნდა აიღოს. იტალიური კლუბი ამ თანხის გადამხდელი არ არის და ახლა მოლაპარაკებები სწორედ პირობების შესახებ მიმდინარეობს, — წერს ბერძნული პრესა.

ამგვარად, ითამაშებს თუ არა შერმადინი „პანათინაიკოსში“ ან რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას, უახლოეს დღეებში გადაწყდება. აქვე დავძენთ, რომ თუკი გიორგიმ „კანტუს“ მიაშურა, იგი მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელი გახდება.

შერმადინზე კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გავიგეთ — ჩვენებურის დამატება ლატვიის ჩემპიონ „ვეფ რიგასაც“ სურს.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 23 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — მეგობრებისგან კარგ ამბავს გაიგებთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **მორიელი** — ახლობლებს მიხედეთ, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, დაჯილდოვდებით. **მერწყული** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!



## ფაბრეგასმა „ბარსელონაში“ რეკორდი დაამყარა

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში კატალონიური „ბარსელონა“ სტუმრად 2:2 ეთამაშა „ვალენსიას“. ბარსელონელთა ერთი გოლი სესკ ფაბრეგასის ანგარიშზეა, რომელიც სარეკორდო აღმოჩნდა.

„ბარსელონას“ ნახევარმცველმა, რომელიც ამ ზაფხულს „არსენალიდან“ კატალონიაში გადაბარგდა და მხოლოდ ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, უკვე საკლუბის რეკორდი დაამყარა — ესპანეთის ნაკრების ჰავბეკი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც შეძლო და ზედიზედ პირველ ოთხ შეხვედრაში გოლი გაიტანა.

გეტყვით იმასაც, რომ ინგლისში 8-წლიანი კარიერის შემდეგ ფაბრეგასის ტიტული მხოლოდ იქაური ლიგის თასია, ხოლო „ბარსელონაში“ გადმოსვლის შემდეგ ესპანელმა ნახევარმცველმა ევროპისა და ესპანეთის თასის მოგება სულ რაღაც ერთი თვის წინ უკვე მოახერხა.

## „ინტერის“ მწვრთნელად კლაუდიო რანიერი დაინიშნა



იტალიის სერია ა□ში წარუმატებელი სტარტის შემდეგ „ჩელსის“, „იუვენტუსისა“ და „რომას“ ყოფილი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი „ინტერს“ უხელმძღვანელებს. 59 წლის სპეციალისტმა მილანურ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის 30 ივნისამდე გააფორმა.

კლაუდიო რანიერიმ ჯანპიერო გასპერინი შეცვალა, რომელიც ბოლო შეხვედრის შემდეგ დაითხოვეს.

გასპერინის თავკაცობით „ინტერმა“ ხუთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ვერც ერთი ვერ მოიგო. „ინტერმა“ იტალიის სუპერთასის შეხვედრაში „მილანთან“ წააგო, ხოლო იტალიის ჩემპიონატში „პალერმოსთან“ და „ნოვარასთან“ დამარცხდა. ჩემპიონთა ლიგაში კი იტალიელებმა თურქულ „ტრაბზონსფორთან“ წააგეს. ერთადერთი საშინაო და ისიც უგოლო ფრე მხოლოდ რომასთან“ გაახერხა.

**მ. ჟ.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სოფლის ორღობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში; 7. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ღრმა ორმო; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 13. მარჯნის ძველი ქართული სახელწოდება; 16. წვრილი ოქროს ჯაჭვი; 18. მონასტერი დუშეთის რაიონში; 19. თავის კანი თმებიანად; 21. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 24. რაიმეს მიმდინარეობის სისწრაფე.

**თარაზულად:** 1. თავადაზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 3. იმრე კალმანის ოპერეტა; 8. წითელი ფერის ფრანგული ორდინალური ღვინო; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 15. პირუტყვებით მოვაჭრის ძველებური სახელწოდება. 17. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 20. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ს დაზვერვის ეროვნული ცენტრი; 22. „ფიატის“ მარკის მცირელიტრაჟიანი ავტომობილი; 23. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 25. თევზის ძვალი; 26. დიდი ზომის აფრიკული ანტილოპა; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## რობერტ სტურუა „ეტ სეტერას“ კონტრაქტს გაუფორმებს



რეჟისორმა რობერტ სტურუამ უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და ოქტომბრის დასაწყისში რუსეთში გაემგზავრება, სადაც ალექსანდრ კალიაგინის მიერ დაარსებულ თეატრ „ეტ სეტერაში“ დაიწყებს მუშაობას.

როგორც რუსული სააგენტო „ინტერ ფაქსი იუწყება“, რობერტ სტურუა 2 ოქტომბერს უკვე მოსკოვში იქნება და „ეტ სეტერას“ თეატრის დასთან მუშაობას დაიწყებს. სააგენტოსთან საუბარში ქართველმა რეჟისორმა განაცხადა, რომ თბილისში რაღაც საქმეები აქვს, 2 ოქტომბრისთვის კი მოსკოვში იქნება.

„ინტერფაქსზე“ დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ ქართველი რეჟისორი 2 ოქტომბერს ოფიციალურად გააფორმებს ურთიერთობებს „ეტ სეტე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე